# გვინდა თუ არა სოჭი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 ოქტომბერი **სამშაბათი** 2013
№ 237 (14 153) ფასი 80 თეთრი

## უკვე მთავრობაც ორჭოფობს

↳11



სავარაუდოდ, ზეციურ ძალებს არ სურთ, რომ რუსეთმა ოლიმპიადას უმასპინძლოს. მოსკოვში, კრემლის ტერიტორიაზე ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ახალი დაწყებული იყო, როცა ჩირაღდანი ორჯერ ჩაქვრა და ძველ ოლიმპიაში, ციდან ჩამოსული ცეცხლი ერთმა რუსმა მცველმა სანთებელით აანთო...

## ანანიძე სიმბოლურში



პოპულარულმა რუსულმა ინტერნეტ-პორტალმა championat.com-მა ჯანო ანანიძე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. ცნობილი ამბავია - „ყუბანთან“ გასვლით მატჩში „როსტოვმა“ 2:2 რომ ითამაშა, ამ შეხვედრაში დუბლის ავტორ არტიომ ძიუბას ორივე საგოლე გადაცემა სწორედ ანანიძემ გაუკეთა (პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში საქართველოს ნაკრების შემტევს 6 საგოლე პასი დაუგროვდა). ამას გარდა, გამოარჩიეს ის ეპიზოდიც, როცა ჯანომ მეტოქის ერთ-ერთ მცველს ეფექტური ფინტი ჩაუტარა.



↳12

## სარაგოსა შერმადინია

ქართველმა ცენტრმა საკონტროლო შეხვედრაში 14 ქულა დააგროვა

## პოლანდიასთან მხოლოდ გამარჯვება

### ჩივაძის შემადგენლობა და პრესკონფერენცია



↳2

## მექსე დასაჯეს, სან სიროც დახურეს



„მილანს“ პრობლემები არ ელევა - ისედაც განახევრებულ შემადგენლობას ფილიპ მექსეც გამოაკლდა. „ლეგა კალჩოს“ სადისციპლინო კომიტეტმა ფრანგ მცველს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. „იუვენტუსთან“ საკვირაო მატჩში მექსემ, ანდრეა პირლოს კუთხურის დროს, კეფაში მუშტი ჩასცხო ჯორჯო კიელინის, რასაც წითელი ბარათი მოჰყვა. დისციპლინარებმა „მილანს“ ესეც არ აკმარეს - იმავე მატჩის დროს, მისი ტიფოზების უმსგავსო საქციელის გამო, „უდინეზესთან“ 19 ოქტომბრის საშინაო დაპირისპირებას „როსონერი“ უმაყურებლო „სან სიროზე“ ჩაატარებს. ამას გარდა, „მილანი“ ჯარიმის სახით 50 000 ევროსაც გადაიხდის.

## მარიამ სეზონი დაასრულა

### შარაპოვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე არ ითამაშებს



↳16

U21. პრესკონფერენცია

## ალექსანდრე ჩივაძე:
# მხოლოდ გამარჯვება!

**ახალგაზრდული ნაკრების საშინაო მატჩები კარს მოგვადგა. 10 ოქტომბერს, ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ალექსანდრე ჩივაძის გუნდი ჰოლანდიას უმასპინძლებს, 14-ში კი - შოტლანდიას. ორივე მატჩი "მიხეილ მესხზე" დაიგეგმა.**
**ჩივაძის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის III ჯგუფში ორი მატჩი უკვე გამართა - გასვლაზე ლუქსემბურგს 3:0 სძლია, ხოლო ასევე საგარეო მატჩი სლოვაკეთთან 0:1 დათმო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" პრესკონფერენცია გამართა და მოახლოებულ შესარჩევ მატჩებზე ისაუბრა...**

- ჰოლანდიასა და შოტლანდიასთან უაღრესად მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ასევე ორი შეხვედრაა ნოემბერში: 14-ში შოტლანდიასთან უნდა ვესტუმროთ, 18-ში კი სლოვაკეთს ვუმასპინძლებთ. ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სიაში ცვლილება მოხდა. "ზესტაფონის" თავდამსხმელი ირაკლი ქობალია შეუძლოდ იყო, სიცხე ჰქონდა, თან ბოლო მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ამიტომ, მის ნაცვლად გორის "დილას" ფორვარდი გიორგი ქვილითაია გამოვიძახეთ. რაც შეეხება გიორგი ილურიძეს - მან გუშინწინ "ჰაიდუკში" ითამაშა, 61-ე წუთზე შეცვალეს და თუ რაიმე პრობლემა არ აქვს, დავუკავშირდებით და გამოვიძახებთ.

**- ალბათ, აქცენტი ჯერ მთლიანად ჰოლანდიასთან მატჩზე გადაიტანეთ. კარგი შემადგენლობაა, გამოძახებულთაგან ბევრი უცხოეთში წარმატებით თამაშობს. თუ გაქვთ არჩეული, ჰოლანდიას რა სათამაშო სქემით დაუპირისპირდებით?**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ სათამაშო პრაქტიკა ბევრი ფეხბურთელის პრობლემაა. მაგალითად, "დინამოში" სისტემატურად არ თამაშობს გიორგი პაპავა, ბოლო პერიოდში ანალოგიური პრობლემები აქვთ დავით სხირტლაძეს "ორჰუსში" და ლაშა პარუნაშვილს ბოლნისის "სიონში". თუმცა პარუნაშვილის შემთხვევა ცოტა სხვაგვარია - მან ერთი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ხოლო მეორე იმიტომ, რომ "დინამოდან" განათხოვრებულს ამ გუნდის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდა. გასული ტური თორნიკე ოქრიაშვილმაც გამოტოვა - ამ შემთხვევაში, მიზეზი დისკვალიფიკაცია იყო. პრაქტიკის გარეშე სხვა ფეხბურთელებიც არიან. რაც უნდა იყოს, ჩვენ შედეგზე ვითამაშებთ და მაქვს წინასწარი მონახაზიც, რომელსაც ვარჯიშებზე დავამუშავებთ.

**- ჰოლანდიასთან ფრე დაგაკმაყოფილებთ?**

- როცა შინ თამაშობ, დამაკმაყოფილებელი შედეგი მხოლოდ გამარჯვებაა. ვნახოთ, როგორ წარიმართება თამაში.

**- ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ ანანიძე და ოქრიაშვილი ეროვნულ ნაკრებში გადავლენ. მათ ნაცვლად სხვებს გამოიძახებთ თუ შემადგენლობა უცვლელი დარჩება?**

- სხვებს გამოვიძახებთ. ისიც მოფიქრებული გვაქვს, თუ ვინ იქნებიან შემცვლელები. ამას მოგვიანებით გაიგებთ.

**- თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გილაპარაკიათ იმასთან დაკავშირებით, რომ ანანიძე და ოქრიაშვილი შოტლანდიასთან მატჩისთვისაც დაგეტოვებინათ? 21-წლამდელთა ნაკრებს ხომ უფრო მნიშვნელოვანი თამაში ელის...**

- ვნახოთ. სიტყვიერი შეთანხმება კი გვაქვს, რომ ისინი ნაკრებს ესპანეთში გაჰყვებიან, მაგრამ... ვნახოთ...

**- სრული შემადგენლობით როდის შეიკრიბებით?**

- ორშაბათს საღამოს ყველა ფეხბურთელი ჩამოვა და მომზადებას ერთიანად გავაგრძელებთ.


ალექსანდრე ჩივაძე

**ჰოლანდიასთან მატჩისთვის ჩივაძის განკარგულებაში ეს შემადგენლობაა:**

მეკარეები - **გიორგი ნადირაძე** (სპარტაკი, ცხინვალი), **კახა მეშველიანი** (ზესტაფონი), **ნიკოლოზ შერმადინი** (მეტალურგი, რუსთავი);
მცველები - **არჩილ ტვილდიანი** (სიონი, ბოლნისი), **მამუკა კობახიძე** (დილა), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **თედორე გრიგალაშვილი** (ზესტაფონი), **დავით უბილავა** (ტორპედო, ქუთაისი);
ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (როსტოვი, რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (ილიჩივეცი, უკრაინა), **ნიკა ძალამიძე** (იაგელონია, პოლონეთი), **ნიკა კვეკვესკირი** (სპარტაკი, ცხინვალი), **გიორგი პაპავა** (დინამო თბილისი), **ლაშა პარუნაშვილი** (სიონი, ბოლნისი), **ვალერი ყაზაიშვილი** (ვიტესი, ჰოლანდია), **მერაბ გიგაური** (ტორპედო, ქუთაისი), **ჯაბა ჯიღაური** (ჩიხურა);
თავდამსხმელები - **დავით სხირტლაძე** (ორჰუსი, დანია), **გიორგი ჭანტურია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ფანცულაია** (ტორპედო, ქუთაისი), **გიორგი ქვილითაია** (დილა).

**მერაბ მამულაშვილი**

U19


ვასილ მაისურაძე

# 21 რჩეული

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა სერბეთთან გასამართი ორი ამხანაგური მატჩისთვის მზადება დაიწყო. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ რჩეულები სასტუმრო "ბომონდ გარდენში" შეკრიბა და საგურამოს ბაზაზე ავარჯიშებს. გუშინ საღამოს გუნდი საბოლოოდ შეივსო - ნაკრებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები შეუერთდნენ. მაისურაძემ ამ ფეხბურთელებს უხმო:**

მეკარეები - **ბექა ქურდაძე** (საბურთალო), **ტარიელ ხაინდრავა** (დინამო);
მცველები - **გიორგი გაბაძე, ნიკოლოზ ჭანტურია, ოთარ კუსიანი** (ყველა - ტორპედო), **ოთარ კაკაბაძე, ალექსანდრე გურეშიძე** (ორივე დინამო 2), **ჯემალ ტაბიძე** (საბურთალო);
ნახევარმცველები - **გიორგი გოროზია, მათე ცინცაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი, ლუკა კიკაბიძე** (ყველა - ტორპედო), **ლევან შენგელია, გიორგი ბერიძე** (ორივე - დილა 2), **გიორგი აბურჯანია** (დილა), **გიორგი თევზაძე** (საბურთალო), **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი** (დინამო 2);
თავდამსხმელები - **დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი** (ორივე - ტორპედო), **ლუკა ზარანდია** (ლოკომოტივი), **ილია კერძევაძე** (დილა 2).

როგორც ვწერდით, 19-წლამდელები სერბებთან პირველ საწვრთნელ შეხვედრას 9 ოქტომბერს, მეორე კი 11 ოქტომბერს გამართავენ. ორივე მატჩი გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩატარდება და ორივე 15 საათზე დაიწყება.

19-წლამდელთა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს საქართველოც უმასპინძლებს. ჩვენი გუნდი XI ჯგუფშია, სადაც მისი მეტოქეები ჰოლანდია, უელსი და მოლდოვა იქნებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ვით ჯორჯია. ინტერვიუ

## ზურაბ ბერიძე:
# ჯანელიძე ნაკრებში თამაშის ღირსია!


ზურაბ ბერიძე

**ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" რუსთავის "მეტალურგი" შინ 5:2 დაამარცხა. ალბათ, ცოტას თუ ეგონა, რომ ზურაბ ბერიძის გაწვრთნილი გუნდი სამბურთიანი სხვაობით გაუსწორდებოდა მოწინააღმდეგეს, რადგან "მეტალურგი" გამოცდილი, სახელიანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, მყარი ფინანსური ზურგით. ისიცაა, რომ რუსთაველებს ამ მატჩისთვის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ - მაგალითად, ტრავმირებული თავდამსხმელი გიორგი ბერიაშვილი, თუმცა, როგორც უნდა იყოს, 5:2 მჭექარე ანგარიშია...**
**"ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ბერიძე დიდი ხანია, რაც ამ კლუბში მუშაობს, ოჯახის წევრივითაა და იქაურობის ყველაფერი იცის. რა თქმა უნდა, რომ ვიტჯორჯიული გამოცდილება მას საქმეში მნიშვნელოვნად ეხმარება. "ლელომ" ის ტურის ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელად დაასახელა. ბერიძეს ინტერვიუ ვთხოვეთ:**

**- "მეტალურგთან" მატჩის წინ რაზე აკეთებდით გათვლას? რა ძირითადი დავალება მიეცით ფეხბურთელებს? ისე ჩანდა, რომ რაც მოედანზე მოხდა, ამაზე წინასწარ გქონდათ ნამუშევარი...**

- აქცენტი სწრაფ გოლზე გვქონდა გაკეთებული. ეს ჩვენთვის გადამწყვეტი მატჩი იყო იმ გაგებით, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო, წაგება არაფრით არ შეიძლებოდა. სწრაფი გოლის გატანა მოვახერხეთ და მერე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა.

**- ამის გარდა კიდევ რა იყო მთავარი, რაც თქვენს ფეხბურთელებს უნდა გაეკეთებინათ?**

- მეტოქის შეტევები უნდა "დაგვენგრია" და როცა დაცვით ფაზაში ვიქნებოდით, ბურთის მოხელთებისთანავე სწრაფი იერიში უნდა გაგვეშალა ფლანგებიდან, კორიფაძე, სიჭინავა და ლობჯანიძე უნდა დაგვეტვირთა ცარიელ ზონებში. იყო ეპიზოდები, როცა "მეტალურგს" მისავე ნახევარზე ვხდებოდით, ხოლო როცა უფრო წინ გადმოდიოდნენ, თავისუფალი ზონებიც იქმნებოდა. ასეთ დროს ბურთი ჯანელიძეს უნდა მიელო და რომელიმე ფლანგზე გადაეტანა შეტევა.

**- გიორგი ჯანელიძე "მეტალურგთანაც" გამორჩეული იყო. როგორ ფიქრობთ, ის უკვე არის მზად უცხოეთში სათამაშოდ?**

- ჯანელიძე ერთ-ერთი სერიოზული ფეხბურთელია საქართველოში. მისი ტექნიკური მხარე რომ ძლიერია, ეს ცხადია და ამავე დროს, ის საკმაოდ ძლიერია ფიზიკურადაც, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს. მოკლედ, ის არ მოისუსტებს არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად. ჯანელიძე ნებისმიერ ქართულ გუნდს დაამშვენებდა და ერთ-ერთი წარმატებული ქართველი იქნებოდა უცხოეთშიც. "მეტალურგთან" კორიფაძისა და ლობჯანიძის კარგი თამაშიც უნდა გამოვარჩიო, მთლიანად გუნდმაც კარგად ითამაშა.

**- ჯანელიძე ჯერ მხოლოდ ერთხელ, შარშანწინ იყო გამოძახებული ეროვნულ ნაკრებში - თქვენი აზრით, არის ის ეროვნულ ნაკრებში თამაშის ღირსი?**

- კარგა ხანია, ჯანელიძე ეროვნულ ნაკრებში თამაშის ღირსია. ასე კარგად და სტაბილური შედეგის მქომე მოთამაშე ფეხბურთელი ნაკრებში გამოძახებას ნამდვილად იმსახურებს. ჯანელიძის შედეგიან თამაშში იმას ვგულისხმობ, რომ ის გუნდში ნამდვილი, როგორც იტყვიან ხოლმე, "ზავადილაა", ასეთი კი ჩვენს ნაკრებსაც გამოადგებოდა. ნაკრებში მისი გამოძახება მეტ მოტივაციას გაუჩენდა სხვა ნიჭიერ ფეხბურთელებსაც.

**- "ვიტ ჯორჯიას" ახლა არ აქვს დალხენილად საქმე დაფინანსების მხრივ. გასაგებია, რომ ფეხბურთელები ამას გაგებით ეკიდებიან, მაგრამ სეზონი ჯერ კიდევ წინ არის და ასეთი მდგომარეობით მოხერხდება კი სასურველი შედეგის მიღწევა?**

- გვესმის ეს ყველაფერი, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს - უნდა ვიბრძოლოთ და მივაღწიოთ მიზანს. ექვსეულში გვინდა შესვლა. კლუბში ვისაუბრეთ ამ პრობლემატურ საკითხზე და შევთანხმდით, რომ ფეხბურთელები ჩვეული შემართებით გააგრძელებენ თამაშს, ფული კი "დაგვიწევა", არის ჩამორჩენა, თუმცა დროთა განმავლობაში ეს გამოსწორდება. სახელმწიფო გვერდში უნდა დაუდგეს საფეხბურთო კლუბების კერძო მფლობელებს. ამაშია სწორედ ქართული ფეხბურთის გადარჩენა. ყველა კლუბში უნდა იყოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა, ეს ყველას ინტერესშია.

**- ამ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" ყველაზე მეტად რომელ მოწინააღმდეგესთან გაუჭირდა თამაში?**

- ცხადია, გაგვიჭირდა იმ გუნდებთან, ვისთანაც წავაგეთ. თუმცა, როცა ქუთაისში "ტორპედოსთან" 1:4 დავმარცხდით, ეს უფრო უიღბლობის ბრალი იყო. ვინც თამაშს უყურა, ამაში ალბათ დამეთანხმება.


გიორგი ჯანელიძე
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**დავით თავართქილაძე**

# არ გვინდა დასვენება!

**ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა. თუმცა განვლილ ტურში იმდენი გამორჩეული ფაქტი მოხდა, გეგონებოდათ, ჩვენი გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელებს დასვენება არ ესაჭიროებოდათ! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ - შედეგიანობის მიხედვით სარეკორდო მაჩვენებელი; ჩემპიონატის ასე ნანატრი პირველი ჰეთ-თრიქი; ერთდროულად ოთხი დუბლი; უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლები და სადებიუტო მატჩები; „მერანის“ მთავარი მწვრთნელის რანგში მალხაზ ჟვანიას ბოლო მატჩი; „გურიას“ მორიგი სასიამოვნო მოულოდნელობა; დიმიტრი ტატანაშვილის ასევე მორიგი გოლები და სხვა...**
**თუმცა გასული ტურის უმთავრესი ამბავი მაინც ის იყო, რომ ექვსივე მატჩის დაწყებამდე ყველა გუნდის ფეხბურთელი სპეციალური მაისურებით წარსდგა, რომელზეც გაკეთებული იყო წარწერა: „დიცი და დვანი საქართველოა“! - ასე გამოუცხადა ქართულმა საფეხბურთო სამყარომ სოლიდარობა რუსეთის მიერ მავთულხლართებში მოქცეულ მოსახლეობას.**
**აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა გასულ ტურში რუსთავში გახლდათ და ოქტომბრის დასაწყისისთვის უჩვეულოდ სუსხიან ამინდში ჩატარებულ „სიონი“-„დინამოს“ დაპირისპირებას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძესა და „დინამოს“ პრეზიდენტ რომან ფიფიასთან ერთად ადევნებდა თვალს...**

, VII ტურზე ვთქვით, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან ყველაზე შედეგიანიაო - ექვს მატჩში 21 გოლი გავიდა. თუმცა ერთი კვირის თავზე ჩატარებულ ტურში ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა და ამჯერად 23 გოლი ვიხილეთ. ანუ, ერთ შეხვედრაში, თითქმის 4 გოლი რომ გავა, ვფიქრობთ, ურიგო კი არა, მართლაც ჩინებული მაჩვენებელი უნდა იყოს.

## მონატრებული ჰეთ-თრიქი და მოტივირებული მერებაშვილი

თითქმის ყოველი ტურის მიმოხილვაში ვამბობდით, რომ ვერა და ვერ ვეღირსეთ ჰეთ-თრიქის შესრულებასო და აი, როგორც იქნა, კონკრეტული ფეხბურთელის მიერ გატანილი სამი გოლიც ვნახეთ! „სიონი“-„დინამოს“ შეხვედრაში თავი გამოიჩინა სტუმართა რუმინელმა ლეგიონერმა **დორინ გოგამ**: 29 წლის ფეხბურთელმა პირველი გოლი ახლო მანძილიდან შეაგდო, მეორე - ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმით, მესამე კი - არანაკლებ ეფექტური ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე.

საერთოდაც, ამ შემოდგომაზე გოგა ერთობ შედეგიანად ათამაშდა და ყველაფერი იმის ფონზე ხდება, რომ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** თავის რუმინელ ლეგიონერს სხვადასხვა პოზიციაზე ათამაშებს. აი, ახლაც, „სიონთან“ შეხვედრაში გოგა მარჯვენა ნახევარმცველის ამპლუაში ვიხილეთ.

აქვე, ამ მატჩის კიდევ ერთ გამორჩეულ ფეხბურთელზეც: 27 წლის **გიორგი მერებაშვილმა** ამ სეზონში, უდავოდ, საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და ოსტატური გოლის გარდა, ორ საგოლე კომბინაციაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო.

## ნეიტრალური ტური

ისე, მართლაც უცნაური ტური გამოვიდა: ექვსიდან ხუთი შეხვედრა... ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა! აი, კონკრეტული მაგალითებიც: „სიონმა“ „დინამოს“ რუსთავში უმასპინძლა, „გურიამ“ საშინაო შეხვედრა ქობულეთში ჩაატარა, „ჩიხურამ“ - ქუთაისში, „მერანმა“ - სამტრედიაში, „ზუგდიდმა“ კი - განმუხურში. ანუ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ „ვიტ ჯორჯია“ იყო ტურში ფაქტობრივი მასპინძელი...



გიორგი კორიფაძემ მეტალურგს ორი გოლი გაუტანა   გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ყველაზე შედეგიანი მატჩი

ამ ტურამდე „ვიტ ჯორჯიას“ შვიდ მატჩში შვიდი გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა კი **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდულმა გუნდმა ერთბაშად 5 გოლი გაიტანა და, რაც მთავარია, „მეტალურგთან“ დიდი ანგარიშით მოგების (5:2) შემდეგ ზედა ექვსეულში აინაცვლა! სეზონის დაწყებიდან პირველად მოხდა, როცა ერთმა გუნდმა მეტოქის კარში 5 ბურთი გაიტანა, ასევე პირველი შემთხვევაა, როცა კონკრეტულ შეხვედრაში 7 გოლი გავიდა.

რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა „ვეტერინარებს“ გარჯა არ უნდა დავუკარგოთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „მეტალურგის“ („ოლიმპის“) დაარსების დღიდან მხოლოდ და მხოლოდ მეორე შემთხვევაა, ამ გუნდმა საკუთარ კარში 5 ბურთი რომ მიიღო (2009 წლის სექტემბერში სტუმრად ფოთის „კოლხეთთან“ 1:5 წააგო). სხვათა შორის, უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე მეტი ბურთი „ზუგდიდსა“ და „მეტალურგს“ აქვს გაშვებული (14-14), თანაც, რუსთაველებმა 14-ვე გოლი სტუმრად მიიღეს...

## ოთხი დუბლი

იმის გარდა, რომ ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიქი ვნახეთ, გასული ტური იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ერთდროულად ოთხმა ფეხბურთელმა შესძლო „დუბლის“ შესრულება! თანაც, ოთხივე შემთხვევა განსაკუთრებულია და უპირველესად, **დიმიტრი ტატანაშვილი** უნდა ვახსენოთ: „ჩიხურას“ 29 წლის თავდამსხმელმა ორი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, დანარჩენ ხუთ შეხვედრაში თითო გოლი გაჰქონდა, ახლა კი „დუბლი“ შეასრულა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა!

როგორ შეიძლება „ვიტ ჯორჯიას“ წარმატების შემოქმედთ გვერდი ავუაროთ: 24 წლის მარჯვენა გარემარბმა **გიორგი კორიფაძემ** და 21 წლის ცენტრფორვარდმა **ელგუჯა ლობჯანიძემ** „მეტალურგის“ კარში ორ-ორი ბურთი გაიტანეს თანაც, კორიფაძემ და ლობჯანიძემ ამ სეზონში უკვე მეორედ შესძლეს „დუბლის“ შესრულება (მსგავსი შედეგი მხოლოდ „დილას“ ცენტრფორვარდს **ირაკლი მოდებაძეს** აქვს).

დაბოლოს, კიდევ ერთ „დუბლის“ ავტორზეც: „ზესტაფონის“ თავდამსხმელმა, 23 წლის **საბა ლომიამ** წინა სეზონი მართლაც ჩინებულად ჩაატარა და „მერანში“ იჯარით ასპარეზობისას, 16 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მხოლოდ და მხოლოდ **ჩისკოსა** და **ჯაბა დვალს** ჩამორჩა. ლომია ამ სეზონის დაწყების წინ დაბრუნდა „ზესტაფონში“, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო თამაში ხშირად არ უწევდა და ახლაც, შეცვლაზე შევიდა, მაგრამ 17 წუთში 2 გოლის გატანა მოახერხა!

## იმერული იდილია

გასულ ტურში სამივე იმერულმა კლუბმა გაიმარჯვა: **ჟერარდ სარაგოსას** დამოძღვრილი „ტორპედო“ კვლავაც დაუმარცხებლად ასპარეზობს და თბილისის „დინამოს“ კვალში უდგას, **სოსო ფრუიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ჩიხურა“ ასევე ლიდერთა სამეულშია და დიდი ალბათობით, ჩემპიონატის პირველ ეტაპს ზედა ექვსეულში დაამთავრებს.

თუმცა, „ტორპედომ“ და „ჩიხურამ“ თუ თავიანთი არცთუ ურიგო პოზიციები შეინარჩუნეს, „ზესტაფონმა“ უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა: **რატკო დოსტანიჩის** გუნდი სახიფათო ზონასაც მოშორდა და, რაც მთავარია, ზედა ექვსეულსაც „ხელის გაწვდენაზე“ მიუახლოვდა! გულახდილად რომ ვთქვათ, ყველაფერი ეს ლოგიკურადაც მოსჩანს და არც ის გაუკვირდეს ვინმეს, პირველი წრის დამთავრებას „ზესტაფონი“ პირველ სამეულში ან „იქვე მყოფი“ რომ შეხვდეს!...

VIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## საოცარი გურია!

სეზონის დაწყებამდე ყველა რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდა, აი, ის გუნდი კვლავაც აგრძელებს საოცარ საშინაო წარმატებულ სერიას და ზედა ექვსეულშიც წამოსკუპებულა! თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ „მშობლიური ლანჩხუთის ნაცვლად „გურია“ საშინაო მატჩებს ქობულეთში ატარებს, მაგრამ ამის მიუხედავად ასპროცენტიანი შედეგი აქვს: ოთხი მატჩი და ოთხი მოგება!

თანაც, „გურიამ“ თბილისის „დინამოსაც“ მოუგო, რუსთავის „მეტალურგსაც“ და ახლა კი, ჩემპიონატის კიდევ ერთ ფავორიტს, გორის „დილას“. აღსანიშნავია, რომ ეს იყო უკრაინელი სპეციალისტის **რომან პოკორას** სადებიუტო მატჩი საქართველოს ჩემპიონატში.

ისე როგორც წინა სამ საშინაო შეხვედრაში, „გურიას“ თითოეულმა ფეხბურთელმა ამ შეხვედრაშიც მაქსიმალური მოტივაციით ითამაშა და ძლიერ მეტოქეს დამსახურებულად მოუგო. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლანჩხუთელთა მარცხენა გარემარბი **კობა შალამბერიძე**: 28 წლის ფეხბურთელმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

**გია ტუხაშვილი**



სიონი-დინამო (თბ)   ფოტო: fcdinamo.ge

### I ლიგა. VI ტური

#### A ზონა

| | |
|---|---|
| დინამო 2 (თბ)-კოლხეთი (ფ) | 0:1 |
| ბაგრა-სქური | 4:1 |
| იმერეთი-მერცხალი | 1:1 |
| ადელი-კახეთი | 1:2 |
| შუქურა-ალგეთი | 3:0 |
| ჩხერიმელა-საპოვნელა | 0:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლხეთი (ფ) | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| 2. მეშახტე | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| 3. საპოვნელა | 5 | 4 | 0 | 1 | 10-1 | 12 |
| 4. ალგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-3 | 12 |
| 5. ბაგრა | 6 | 3 | 3 | 0 | 14-6 | 12 |
| 6. შუქურა | 5 | 3 | 1 | 1 | 14-6 | 10 |
| 7. ჩხერიმელა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-11 | 7 |
| 8. სქური | 6 | 2 | 0 | 4 | 6-11 | 6 |
| 9. კახეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| 10. იმერეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-10 | 5 |
| 11. დინამო 2 (თბ) | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |
| 12. მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-15 | 1 |
| 13. ადელი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-19 | 0 |

#### B ზონა

8 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სასკო | |
| სამტრედია-ჭიათურა | |
| დილა 2-ბახმარო | |
| კოლხეთი (ხ)-მაჭახელა | |
| სულორი-ბეთლემი | |
| სტუ-სამგურალი | |
| საბურთალო-დინამო (ბთ) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 5 | 4 | 1 | 0 | 6-1 | 13 |
| 2. მაჭახელა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| 3. ჭიათურა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 4. დინამო (ბთ) | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 5. საბურთალო | 5 | 3 | 0 | 1 | 9-7 | 9 |
| 6. სტუ | 5 | 2 | 1 | 2 | 10-7 | 7 |
| 7. სამგურალი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 8. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 10. ბეთლემი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 11. სასკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 12. დილა 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5-13 | 4 |
| 13. ბახმარო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |
| 14. სულორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-11 | 1 |

### დუბლების ჩემპიონატი

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| ჩიხურა-სპარტაკი | 1:3 |
| გურია-დილა | 3:1 |
| ზუგდიდი-ზესტაფონი | 3:1 |
| ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 1:5 |
| მერანი-ტორპედო | 1:1 |
| სიონი-დინამო (თბ) | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 8 | 7 | 0 | 1 | 26-12 | 21 |
| 2. დინამო (თბ) | 8 | 6 | 0 | 2 | 20-11 | 18 |
| 3. ზუგდიდი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-13 | 16 |
| 4. მერანი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-7 | 15 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 3 | 2 | 11-14 | 12 |
| 6. დილა | 8 | 3 | 1 | 4 | 15-18 | 10 |
| 7. ჩიხურა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 8. ტორპედო | 8 | 2 | 2 | 4 | 14-12 | 8 |
| 9. სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-15 | 8 |
| 10. ზესტაფონი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-16 | 8 |
| 11. სპარტაკი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-18 | 6 |
| 12. გურია | 8 | 1 | 1 | 6 | 10-20 | 4 |

● დაკმაყოფილებული პროტესტი

# შეცდომა აღიარეს...

30 სექტემბერს, "გაგრა" ხარაგაულში "ჩხერიმელას" ესტუმრა. პირველი ლიგის A ზონის ამ შეხვედრის განსჯა **თემურ ხუჭუას** დაევალა. კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის **მიხეილ აფხაზავას** თქმით, მატჩის 30-ე წუთზე ხუჭუამ მასპინძელთა კარში 100-პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. ამის გამო, "გაგრამ" ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შეიტანა. სამსაჯო კომიტეტის საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, რომ საკითხის განხილვის შემდეგ "გაგრის" პრეტენზია საფუძვლიანად სცნეს:

**"ხუჭუამ 30-ე წუთზე მართლაც დაუშვა შეცდომა და "ჩხერიმელას" საჯარიმოში მცველის მიერ წესის უხეში დარღვევა არ დააფიქსირა. მის მიმართ გატარებული იქნება მსაჯთა სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული ზომები".**

*"თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და არ გვსურს, ეს ქულები მსაჯების სისტემატურ შეცდომებს გადავაყოლოთ. ფეხბურთის ფედერაციაში საჩივრის წერილი ამიტომაც მივიტანეთ და პასუხი ზუსტად ერთ დღეში მივიღეთ. ამისთვის, ფედერაციის სამსაჯო განყოფილებას მადლობას ვუხდით... იმ შემთხვევაში, თუ ხუჭუას მხრიდან დაშვებული იქნებოდა უნებლიე შეცდომა, მას ადამიანურად გავუგებდით და არ გავაპროტესტებდით, მაგრამ, როცა მსაჯი მომხდარიდან ოთხხუთ მეტრში იმყოფება, ნათლად ხედავს სიტუაციას, ფიქრობს, რომ სწორად მოიქცა და ამას მატჩის შემდეგაც აღნიშნავს, აქ გამართლება არ არსებობს"*, - ამბობს აფხაზავა.

**მერაბ მამულაშვილი**

● სტუმრად სამშობლოში

# ინტერის ქართული სამზადისი



კახა ცხადაძე (მარჯვნივ) ბაქოს ინტერის ქართველ გულშემატკივარ დავით ცისკარიშვილთან ერთად

ბოლო წლების ერთ-ერთმა წარმატებულმა აზერბაიჯანულმა კლუბმა ბაქოს "ინტერმა" ეს სეზონი ცუდად დაიწყო, თუმცა ქართველი სპეციალისტების - **კახა ცხადაძისა** და **ზაურ სვანაძის** მიერ დამოძღვრილმა გუნდმა ბოლო სამ თამაშში 7 ქულა აიღო და ნელ-ნელა მიიწევს იმ პოზიციისკენ, სადაც წლების განმავლობაში იმყოფებოდა.

"ინტერის" წარუმატებელი სტარტის ერთ-ერთი მიზეზი განახლებული შემადგენლობაც იყო - სეზონის დაწყების წინ გუნდში 12 ახალი ფეხბურთელი მივიდა და ახალწვეულებს შეთამაშების პრობლემაც ჰქონდათ. ამას დაემატა წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებიც - 31 წლის **ლაშა სალუქვაძე** თითქმის თვენახევარი ვერ ეხმარებოდა "ინტერს", თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა, 30 წლის **მიკელ ალვარომ** კი 1 სექტემბერს "სიმურგთან" მატჩის დასაწყისში მიიღო ტრავმა და იმის მერე მკურნალობს...

სალუქვაძისა და ალვაროს გარდა, "ინტერს" ჰყავს კიდევ ერთი ცნობილი ახალწვეული - 35 წლის **ალექსანდრე იაშვილი**, რომელიც ყველა მატჩსა თუ ვარჯიშზე თანაგუნდელებისთვის პროფესიონალიზმის ეტალონად რჩება; "ინტერში" მეოთხე სეზონი დაიწყო 34 წლის **გიორგი ლომაიამ**, ხოლო გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა, 25 წლის **ბაჩანა ცხადაძემ** - მესამე. შარშან და შარშანწინ, სანაკრებო პაუზების დროს, "ინტერი" თბილისში რამდენჯერმე ჩამოვიდა და დღესაც გვესტუმრება 5 დღით. თუმცა, ცხადაძეს თბილისში სრული შემადგენლობა არ ეყოლება - მისი ვაჟი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, **ვაგიფ ჯავადოვი, სალახატ აგაევი, რუსლან ამირჯანოვი** და **ელხად ნაზირი** - აზერბაიჯანის მთავარ გუნდში. ამ ხუთი დღის განმავლობაში "ინტერი", მოკლევადიანი შეკრების გარდა, სავარაუდოდ 12 ოქტომბერს, რომელიმე ქართულ კლუბთან საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს.

**გია გაგოშიძე**

● ლეგიონი

# უხელფასო ალანია ჩემპიონატს ტოვებს?

რუსეთის პირველ დივიზიონში მე-17 ტურის მატჩები გაიმართება. ვლადიკავკაზში „ალანიამ" „გაზოვიკს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო. მასპინძელთა განაცხადში არც **ოთარ მარცვალაძე** ყოფილა და არც **გოჩა ხოჯავა**.

სარანსკის „მორდოვია" „როტორს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა, სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ**, რომელიც წინა ტურში სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს.

ნალჩიკის „სპარტაკმა" სტუმრად „უფა" დაამარცხა - 1:0. **დავით სირაძემ** 90 წუთი ითამაშა გამარჯვებულთა რიგებში, ხოლო **გუჯა რუხაია** 85-ე წუთზე შევიდა მოედანზე სტუმართა რიგებში.

ტურის შემდეგ ლიდერი „ალანიას" პრეზიდენტმა **ვალერი გაზაევმა** სენსაციური განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც ნოემბრის მერე „ალანია" ჩემპიონატიდან გავა: *„ოთხი თვეა, ხელფასი არ აუღიათ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და კლუბის თანამშრომლებს. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ბიუჯეტი ბევრს ვერ აუდის, სპონსორი კი ჩვენ არ გვყავს"*.

გერმანიის II ბუნდესლიგაში დიუსელდორფის „ფორტუნამ" შინ 2:1 მოუგო „ფიურტს". მასპინძელთა რიგებში სასტარტო იყო **ლევან ყენია**, რომელიც შესვენებაზე შეცვალეს, როცა ანგარიში 0:1 იყო. „ფორტუნა" 13 ქულით მე-9 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● თემიდა

# ლატვია და საქართველო: შეიძლება, ოქტომბერშიც გავცვალოთ...

აგვისტოს ბოლოს, საქართველოსა და ლატვიის ფეხბურთის ფედერაციებმა მსაჯებისა და დამკვირვებლების გაცვლითი პროგრამა შეათანხმეს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 31 აგვისტოს, ქართველმა არბიტრებმა ლატვიის ჩემპიონატში იმსაჯეს: **არსენ ნონიკაშვილმა** (მსაჯი), **გურამ ჩიგოგიძემ** (პირველი ასისტენტი) და **ივანე მაჩიტიძემ** (მეორე ასისტენტი) იურმალაში ადგილობრივი "სპარტაკისა" და "ილუკსტეს" დაპირისპირება განსაჯეს.

გარდა ამისა, 31 აგვისტოს, ლატვიის ჩემპიონატში მსაჯების მუშაობას სფფ-ს მსაჯთა დამკვირვებელი **ავთანდილ შალამბერიძე** "სკონტო"-"იურმალას" შეხვედრისას აკონტროლებდა. მაშინვე ითქვა, რომ ლატვიელთა საპასუხო ვიზიტი საქართველოში სექტემბრის ბოლოს შედგებოდა. ასეც მოხდა, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში, თბილისის "დინამოსა" და მარტვილის "მერანის" მატჩის მთავარი მსაჯი **ივარს ცაუნე** გახლდათ, ასისტენტები კი - **არნის ლემკინსი** და **იგორ ტაგიევი**. იყო გარკვეული შეცდომებიც - მარტვილელებს ჰქონდათ პრეტენზია, რომ მათ პენალტი არ დაუნიშნეს. მაგრამ კატასტროფული შეცდომა არ ყოფილა.

მსაჯობა საკმაოდ მაღალანაზღაურებადი პროფესიაა, თუნდაც, საქართველოში. მაგალითად, **ზვიად სიჭინავას** პრეზიდენტობის პერიოდში, ერთ მატჩში მთავარი არბიტრი 860 ლარს იღებს, ასისტენტი - 430 ლარს, მეოთხე არბიტრი - 260 ლარს.

სხვათა შორის, ლატვიელ "შავფორმიანთა" ანაზღაურება უფრო ნაკლებია: არბიტრზე მხოლოდ 350 დოლარია გათვალისწინებული (დაახლოებით 580 ლარი). მაგრამ ლატვიის ფედერაცია მათ სამივლინებო ხარჯებსაც უხდის და ნაკლები შემოსავალი არ გამოსდით. ჩვენი არბიტრების სამივლინებო თანხა კი ანაზღაურებაში შედის.

საინტერესოა, ამ გაცვლითი პროგრამის დროს მსაჯების ხარჯები ვინ გაიღო? **ლევან ფანიაშვილის** თქმით, ეს წინასწარ იყო შეთანხმებული - ლატვიაში მივლენილ ქართველ არბიტრებს მგზავრობის ხარჯები ჩვენმა ფედერაციამ აუნაზღაურა, მატჩის თანხა კი საქართველოს ჩემპიონატის ტარიფით მიიღეს. ლატვიის ფედერაციიამ კი თავის თავზე საკუთარი არბიტრების მივლინების ხარჯები აიღო.

*"ლატვიელები ნონიკაშვილის ბრიგადის მოქმედებით კმაყოფილი დარჩნენ. ახლა მათი არბიტრები გვესტუმრნენ და ვფიქრობ, გაცვლითი პროგრამა ოქტომბერშიც გაგრძელდება და კვლავ თითოთითო შეხვედრაზეა ლაპარაკი"*, - გვითხრა სფფ-ს მსაჯობის განვითარების მენეჯერმა ლევან ფანიაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# ვახტანგ წერეთელი: უნგრეთში კი არა, საქართველოში დავმარცხდით

უეფას თასის შესარჩევი ციკლიდან გავარდნის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონ "იბერია სტარის" დამფუძნებელმა **ვახტანგ წერეთელმა** კომენტარი გააკეთა:

*"ბოდიშს ვუხდი ჩვენს გულშემატკივრებს. პირველად, ბოლო 5 წელიწადში, "იბერია სტარი" ელიტრაუნდის მიღმა დარჩა. მატჩებს თუ უყურეთ, დაგვეთანხმებით, რომ უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა ფანატიზმამდე მისული თავდადებით ითამაშა. თავდადება ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ, როცა ის სრულ გულგრილობას აწყდება, დამარცხება გარდაუვალია. ალბათ, ნახეთ ორი არჩათვლილი გოლი, მაგრამ "იბერია" ამის გამო არ დამარცხებულა. ჩვენ არა უნგრეთში, არამედ საქართველოში დავმარცხდით, როცა კლუბს არავინ დაეხმარა. ხვალ და ზეგ პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდება. მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ ბათუმის პროექტი განხორციელდება და პირობას ვაძლევ გულშემატკივრებს, რომ "იბერია სტარი" აუცილებლად გახდება ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული"*, - ამბობს წერეთელი.

**მერაბ მამულაშვილი**

● მზადება ვიზიტისთვის

# პელე მზადაა, საქართველოში ჩამოვიდეს...

**გუშინ, "რეპორტიორის" პრესკლუბში ფეხბურთის მეფის, პელეს საქართველოში შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა. საქართველოში მოქმედი "არგენტინის სახლის" თავმჯდომარე ნიკო პატარქალიშვილს თან ახლდა ფიფას ბრაზილიელი აგენტი, პელეს წარმომადგენელი და ბრაზილიის "საპორტინგ სპორტის" აღმასრულებელი დირექტორი პედრო კაბრალ და სილვა ჟუნიორი. თავიდან სიტყვა ნიკო პატარქალიშვილმა აიღო:**

- "საპორტინგ სპორტის" თავმჯდომარემ და ფიფას აგენტმა პედრო კაბრალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე წერილი გამოგზავნა. ის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტს გეგმავდა და ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვა. ამ წერილის მიხედვით, ამ წლის 26 ოქტომბერს საქართველოში ჩამოდის მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა - პელე. დაგეგმილია ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები. ეს ტურნირი მსოფლიო ფეხბურთის 150 და ქართული ფეხბურთის 110 წლისთავს ეძღვნება. ბატონ ბიძინას წერილით საქართველოში მოქმედმა "არგენტინის სახლმაც" მიმართა. პრემიერს ვთხოვეთ, რომ პელეს ვიზიტი და ოთხთა ტურნირის მატჩები მისი მხარდაჭერითა და პატრონაჟით ჩატარდეს.

*- თუმცა ბატონმა ნიკომ იქვე სინანული გამოთქვა, რომ ჯერ განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვერ გრძნობს:*

- საკითხით დაინტერესება ყველა სამინისტრომ გამოთქვა. მერე, ამის საფუძველზე გაგვიჩნდა იდეა, რომ ჩამოყალიბებულიყო საორგანიზაციო შტაბი, რადგან აქ მხოლოდ ფეხბურთზე არ არის ლაპარაკი - ბევრად დიდი მასშტაბის ღონისძიებები იგეგმება. სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შალვა თადუმაძემ წერილი გაუგზავნა ხუთ სამინისტროს - პასუხი გვაცნობეთ, რას ფიქრობთ აღნიშნულ ღონისძიებაში თქვენს მონაწილეობაზეო. კულტურის სამინისტრო დაინტერესდა, სხვები ჯერ ფიქრობენ, პასუხი არ მიგვილია არც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან და არც - ეკონომიკის სამინისტროდან. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი მიზანშეუწონლად ჩათვალა შტაბის შექმნა იმ მოტივით, რომ თუ საჭირო იქნება, დაგეგმილ ღონისძიებებს ორგანიზებას თავად გაუწევს. ჩვენც ეს გვინდა, რადგან სპორტის გარდა, ლაპარაკია კავშირების დამყარებაზე ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში. ამ საქმეში ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებისა და პელეს ჩამოსვლას დიდი როლი ენიჭება. სამშობლოში ხომ მის თითოეულ ნაბიჯს ფართოდ აშუქებენ და ჩნდება შანსი, საქართველოც უკეთ გაიცნონ.



ნიკო პატარქალიშვილი და პედრო კაბრალ და სილვა ჟუნიორი

**პედრო კაბრალ და სილვა ჟუნიორი:**

- ჩვენი სურვილია, ხელი შევუწყოთ საქართველოსა და ბრაზილიის დაახლოებასა და თანამშრომლობას. პელეს ყოველი დღე გაწერილი აქვს, მაგრამ ის მზად არის, ჩამოვიდეს და ამ ურთიერთობების დამყარებაში თავისი როლი ითამაშოს. ვფიქრობ, ეს დიდი მოვლენა იქნება და ყველანაირად ვეცდებით, პელეც ჩამოვიდეს და ახალგაზრდული ტურნირიც ჩატარდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია. სერია A. XVI ტური



„კრუზეირო" შეუჩერებელია

| ბოტაფოგო-გრემიო | 0:1 |
|---|---|

გოლი: 0:1 ალექს ტელეში (38)
გაძევება: კლებერი (30. გრემიო)

| სან პაულო-ვიტორია | 3:2 |
|---|---|

გოლები: 1:0 ანტონიო კარლოსი (5), 1:1 ჟუანი (24-პენ), 2:1 ლუიშ ფაბიანო (66), 2:2 დინეი (69), 3:2 ანტონიო კარლოსი (87)

| ფლამენგო-ვასკო | 1:1 |
|---|---|

გოლები: 1:0 ერნანი (33), 1:1 ვილი (53)

| ინტერნასიონ.-ფლუმინენსე | 1:0 |
|---|---|

გოლი: 1:0 ლეანდრო დამიაო (80)
გაძევება: ფაბიო (90. ფლუმინენსე)

| ნაუტიკო-კრუზეირო | 1:4 |
|---|---|

გოლები: 0:1 რიკარდო გულარტი (10), 1:1 მაიკონ ლეიტე (29), 1:2 რიკარდო გულარტი (52), 1:3 ევერტონ რიბეირო (58-პენ), 1:4 მაიკი (77)

| ატლ. პარანაენსე-კორიტიბა | 2:1 |
|---|---|

გოლები: 0:1 ჟულიო სეზარი (31-პენ), 1:1 პაულო ბაიერი (43), 2:1 პაულო ბაიერი (45)
გაძევება: ს. ესკუდერო (60. კორიტიბა)

| ბაია-პონტე პრეტა | 1:1 |
|---|---|

გოლები: 0:1 ვილიამი (22), 1:1 ფერნანდაო (35)

| გოიასი-კრისიუმა | 1:1 |
|---|---|

გოლები: 0:1 ლინსი (3), 1:1 ვალტერი (30)

| პორტუგეზა-სანტოსი | 3:0 |
|---|---|

გოლები: 1:0 ლუის რიკარდო (16), 2:0 ჟილბერტო (60), 3:0 ჟილბერტო (67-პენ)

| ატლ. მინეირო-კორინთიანსი | 0:0 |
|---|---|

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრუზეირო | 26 | 18 | 5 | 3 | 58-21 | 59 |
| 2. გრემიო | 26 | 14 | 6 | 6 | 32-21 | 48 |
| 3. ატლ. პარან. | 26 | 12 | 8 | 6 | 45-35 | 44 |
| 4. ბოტაფოგო | 26 | 12 | 7 | 7 | 37-30 | 43 |
| 5. ატლ. მინეირო | 26 | 10 | 9 | 7 | 32-26 | 39 |
| 6. ვიტორია | 26 | 10 | 7 | 9 | 38-38 | 37 |
| 7. ინტერნასიონ. | 26 | 9 | 10 | 7 | 38-37 | 37 |
| 8. სანტოსი | 26 | 9 | 9 | 8 | 32-28 | 36 |
| 9. კორინთიანსი | 26 | 8 | 11 | 7 | 22-17 | 35 |
| 10. პორტუგეზა | 26 | 9 | 7 | 10 | 40-38 | 34 |
| 11. ფლუმინენსე | 26 | 9 | 7 | 10 | 31-33 | 34 |
| 12. ფლამენგო | 26 | 8 | 10 | 8 | 31-31 | 34 |
| 13. გოიასი | 26 | 8 | 10 | 8 | 28-32 | 34 |
| 14. ბაია | 26 | 8 | 9 | 9 | 27-32 | 33 |
| 15. კორიტიბა | 26 | 7 | 10 | 9 | 29-35 | 31 |
| 16. სან პაულო | 26 | 8 | 6 | 12 | 24-29 | 30 |
| 17. ვასკო | 26 | 7 | 8 | 11 | 35-42 | 29 |
| 18. კრისიუმა | 26 | 7 | 5 | 14 | 32-44 | 26 |
| 19. პონტე პრეტა | 26 | 6 | 5 | 15 | 26-40 | 23 |
| 20. ნაუტიკო | 26 | 4 | 5 | 17 | 17-45 | 17 |

# სატიტულო კრუიზი

## ბოტაფოგოს მწვრთნელი საავადმყოფოში მოხვდა

**ბომბარდირები:** 15 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე); 13 - ჟილბერტო (პორტუგეზა), ვილიამი (პონტე პრეტა); 11 - ფერნანდაო (ბაია); 10 - ალექსი (კორიტიბა), ანდრე (ვასკო და გამა), ერნანი (ფლამენგო)

**„ბრაზილეირაოს" 26-ე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა „კრუზეირომ" და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. კვლავ დამარცხდა „ბოტაფოგო", რომლის მთავარი მწვრთნელი ოსვალდო დე ოლივეირა, თამაშის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა...**

### ნამდვილი გუნდი

„კრუზეირო" ბრაზილიის საუკეთესო გუნდია, ამ სიტყვის ყველა გაგებით. თავად განსაჯეთ - ბელუ ორიზონტის წარმომადგენელმა ბოლო 12 შეხვედრიდან 11 მოიგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. ჩემპიონატში, **მარსელო ოლივეირას** გუნდს ყველაზე მეტი, 58 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, საუკეთესო ბომბარდირებში მისი არც ერთი წარმომადგენელი არაა. ყველაზე მეტი ბურთი **რიკარდო გულარტის** ანგარიშზეა, ვინც ამ ტურში დუბლი შეასრულა და გოლების რაოდენობა 8-მდე გაზარდა. 7 ბურთი **ნილტონმა** გაიტანა, 6 - **ბორჟესმა**, 5-5 **ვილიანის**, **ევერტონ რიბეიროს**, **ლუანის** და **ვინისიუს არაუჟოს** ანგარიშზეა, 4-ჯერ კი თავი **ჟულიო ბაპტიშტამ** გამოიჩინა.

### ბოტაფოგო უკვე მეოთხეა

ხუთ ტურში 4 მარცხი და 1 ქულა - „ბოტაფოგომ" ძალიან მოუკლო და შედეგად, უკვე მეოთხე ადგილს იკავებს. 10-კაციან „გრემიოსთან" ნაგების შემდეგ, რიო დე ჟანეიროს წარმომადგენლის მთავარი მწვრთნელი **ოსვალდო დე ოლივეირა** საავადმყოფოში მოხვდა. 64 წლის სპეციალისტმა, თამაშის დამთავრებისთანავე მკერდის არეში ტკივილი იგრძნო. საბედნიეროდ, „ფოგოს" მწვრთნელს სერიოზული არაფერი სჭირს და თუ მის ახლო მეგობარს, ასევე მწვრთნელ **რენე სიმოეშს** ვერწმუნებით, ოსვალდო თავს უკვე კარგად გრძნობს.

### 38 წლის გმირი

„ატლეტიკო პარანაენსემ" „კორიტიბას" უმასპინძლა და პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი ორი ბურთის წყალობით მოუგო. ორჯერვე თავი 38 წლის **პაულო ბაიერმა** გამოიჩინა, ვის ანგარიშზეც უკვე 7 გოლია. სხვათა შორის, ეს მატჩი ბაიერისთვის სერია A-ში 355-ე იყო. ამ მაჩვენებლით ის ყველა დროის სიაში მე-6 ადგილზეა, მოქმედი ფეხბურთელებიდან კი მხოლოდ ლიდერ **როჟერიო სენის** (474 თამაში) და „კრუზეიროს" მეკარე **ფაბიოს** (361) ჩამორჩება.

### ბევრი დუბლი

ამ ტურში ორი გოლი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა გაიტანა, თუმცა განსაკუთრებულ აღნიშვნას „სან პაულოს" მცველის **ანტონიო კარლოსის** გარჯა იმსახურებს. „ბოტაფოგოს" ყოფილმა ფეხბურთელმა სეზონში მესამე და მეოთხე გოლები „ვიტორიასთან" გაიტანა და საკუთარ გუნდს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა. ზედიზედ სამი მატჩის ნაგების შემდეგ, **მურისი რამალიოს** გუნდმა 3 ქულის მოპოვებით გასავარდნი ზონა დატოვა და მე-17 ადგილი „ვასკო და გამას" დაუთმო, რომელმაც რიოს დერბიში „ფლამენგოს" ვერ მოუგო. .

**ტატო ბაციკაძე**

დაპირისპირება

# გიოტცეს გამო...

## ჰიონესმა ლიოვი გააკრიტიკა

„ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ბუნდესგუნდში **მარიო გიოტცეს** გამოძახების გამო გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** გააკრიტიკა. როგორც ირკვევა, 61 წლის ჰიონესს იმედი ჰქონდა, რომ ბუნდესმწვრთნელი ახლახან გამოჯანმრთელებულ გიოტცეზე უარს იტყოდა და მას ფორმის აღდგენის საშუალებას მისცემდა.

*„ვფიქრობ, ყველასთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ მარიოს ორი კვირა ვარჯიში შესძლებოდა და ფორმა აღედგინა,"* - უთხრა ჰიონესმა „კიკერს" და დასძინა, ეს ჩემი პირადი აზრიაო.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს ბოლოს გამოჯანმრთელებული გიოტცე „ჩელსისთან" სუპერთასის მატჩში დაშავდა და მას მერე ახლახან გამოჯანმრთელდა. „მანჩესტერ სიტისთან" და „ლევერკუზენთან" შეხვედრებში **ხოსეპ გვარდიოლამ** მარიო ცოტა ხნით, შეცვლაზე ათამაშა.



ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი

ამბები



ვენსან კომპანი

### კომპანი ისევ დაიმტვრა

„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის" ცნობით, „სიტის" 26 წლის ბელგიელი კაპიტნის **ვენსან კომპანის** ტრავმა რამდენად სერიოზულია, ეს მხოლოდ დღეისთვის გახდება ცნობილი. **მანუელ პელეგრინი** იძულებული გახდა, „ევერტონთან" დაცვის ლიდერი პირველივე ტაიმში შეეცვალა. მოედანზე მის ნაცვლად **მატია ნასტასიჩი** გამოვიდა. წინასწარი დასკვნით, ფეხბურთელს ფეხის კუნთი დაჭიმული აქვს და არა განყვეტილი. მიუხედავად „სიტის" ექიმების ოპტიმიზმისა, ვენსანი ბელგიის ნაკრების შეკრებაზე მაინც გამოცხადდება, რათა თავიანთი დასკვნა ბელგიელმა მედიკოსებმაც დადონ. თუკი თამაშის უფლებას არც ისინი მისცემენ, კომპანი მანჩესტერში მალევე დაბრუნდება. „სიტის" კიდევ ერთი ტრავმირებული უკანახაზელი **მარტინ დემიკელისი** ვარჯიშს 6 დღის შემდეგ შეუდგება. 33 წლის არგენტინელს „ქალაქელთა" ღირსება ჯერ არ დაუცავს.

### კოულიც დაისვენებს

უძლეგზე ტრავმა მიიღო კიდევ ერთმა ვარსკვლავური სტატუსის მქონე ფეხბურთელმა. „ნორვიჩთან" მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე **ეშლი კოულმა** ბარძაყი იტკინა და ახლა ექიმების დასკვნას ელის, თუ როდის მისცემენ ვარჯიშის განახლების საშუალებას. „ჩელსის" გარდა ინფორმაცია განსაკუთრებით აინტერესებთ ინგლისის ნაკრების მესვეურებსაც. კოულის გამოკლების შემთხვევშიც კი **როი ჰოჯსონს** აქვს ალტერნატივა. მარცხენა მცველის პოზიციაზე ხომ მას **ლეიტონ ბეინსი** ჰყავს.

### კიდევ ერთი კაცი ლაზარეთში

**მარუან ფელაინიმ** მაჯის ტრავმა ჯერ კიდევ „სანდერლენდთან" შეხვედრის დაწყებამდე მიიღო. **დევიდ მოიესი** იძულებული გახდა, ბელგიელი განაცხადს მიღმა დაეტოვებინა. *„მარუანის შესაძლო დაბრუნების თარიღზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ზუსტი პასუხი მოგვიანებით გვექნება,"* - განაცხადა „მანჩესტრ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე.



მარუან ფელაინი

### პოიეტი შავ კატებში



გუსტავო პოიეტი

დღეს „სანდერლენდმა" შესაძლოა ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა დაასახელოს. საიდუმლოს უკვე აღარავისთვის წარმოადგენს, რომ ჩრდილოელების დამრიგებლად **გუსტავო პოიეტი** დაინიშნება. 45 წლის ურუგვაელი 2009/13 წლებში „ბრაიტონის" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ჩემპიონშიპში შარშანდელი წარმატებული ასპარეზობის შემდეგ (მე-3 ადგილი), მისმა გუნდმა „კრისტალ პალასთან" პლეი ოფის თამაშები წააგო და პრემიერლიგაში ალზევება ვერ მოახერხა. პოიეტმა თანამდებობა სწორედ ამის გამო დატოვა.

### სონგი ლონდონში ბრუნდება

2012 წლის ზაფხულზე „ბარსელონამ" „არსენალს" 26 წლის კამერუნელი ნახევარმცველის **ალექს სონგის** ტრანსფერში 19 მილიონი ევრო გადაუხადა. აფრიკელმა თავის გამოჩენა ვერაფრით მოახერხა. მან შარშანდელი პრიმერას თამაშების ნახევარზე მეტი სკამზე ან სულაც ტრიბუნებზე გაატარა. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 8 ტურში კი სულ სამჯერ გავიდა მინდორზე. ესპანური სპორტული ვებგვერდების ცნობით, „არსენალი" იანვარში ფეხბურთელის უკან დაბრუნებას შეეცდება. სონგის სამსახურით დაინტერესებულია „მანჩესტერ იუნაიტედიც".

**ლევან ბიბილაშვილი**

გერმანიის ნაკრები

# ბენდერების ნაცვლად ვესტერმანი



ჰაიკო ვესტერმანი

ირლანდიასთან (11 ოქტომბერს) და შვედეთთან (15 ოქტომბერს) დაგეგმილ შეხვედრებში გერმანიის ნაკრებს ტრავმების გამო ტყუპები, **ლარს** და **სვენ ბენდერები** გამოაკლდნენ. ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მათ ნაცვლად მხოლოდ ერთ ფეხბურთელს უხმო - „ჰამბურგის" მცველ **ჰაიკო ვესტერმანს**, რომელსაც დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში და გარდა ამისა, საყრდენი ნახევარმცველობაც ეხერხება.

იტალია. სერია A. VII ტურის შეჯამება




# როგორ აჯობა იუვემ მილანს

## მოულოდნელი ლიდერი მარადიული ქალაქიდან

სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალას იკრებს და თანდათან, უფრო საინტერესო ხდება. „რომამ“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მიჯრით მეშვიდე მატჩი მოიგო და ერთპიროვნულად უდგას სატურნირო ცხრილს სათავეში. იქვე ახლოს არიან „ნაპოლი“ და „იუვენტუსი“, სხვა გუნდები კი ამ ტრიოს ცოტა ჩამორჩნენ... თუმცა, ყველაფერი წინაა და ჯერ ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ ლიდერთა სამეული გამოიკვეთა. ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა კვირას გვიან ღამით გაიმართა და რადგან მასზე მიმოხილვაში ბევრი არაფერი გვითქვამს, „იუვე“-“მილანის“ ჯახს აუცილებლად უნდა მივუბრუნდეთ...

### როდესაც პირლო სჯობია დე იონგს...

საფეხბურთო ექსპერტების დიდი ნაწილი თანხმდებოდა, რომ „იუვენტუსი“-“მილანის“ შეხვედრაში ბევრ რამეს ცენტრში გაჩაღებული ბრძოლა გადაწყვეტდა. **ანტონიო კონტემ** ტრადიციულად ხუთი შუახაზელი დააყენა, სადაც მთავარ როლს ისევ და ისევ **ანდრეა პირლო** ასრულებდა - რაც შეეხება „მილანს“, **მასიმილიანო ალეგრიმ** საყრდენი ხაზი სამი ჩამშლელით გაამაგრა: **სალი მუნტარი, ანტონიო ნოჩერინო, ნაიჯელ დე იონგი**. ამ უკანასკნელს დაახლოებით ის როლი ეკისრა, რაც პირლოს და იოლი მისახვედრია, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება ამ დუელში. მაშინ, როდესაც ანდრეა თავისი გუნდის იერიშებს ფაქტობრივად საკუთარი საჯარიმოდან იწყებდა და დირიჟორობდა მთლიან თამაშს, დე იონგი მოკლე პასებით გადიოდა ფონს და მეტწილად, მაინც ჩაშლით იყო დაკავებული. მოკლედ, ტურინელთა შეტევებს მეტი აზრი დაყვებოდა და შესაბამისად, მათი იერიშებიც მეტად მწვავე იყო. მართალია, პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას ლომბარდიელები ფლობდნენ, მაგრამ ამას საერთო სურათი არ შეუცვლია.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „იუვენტუსი“-“მილანის“ შეხვედრას ჰყავდა თავისი გმირი და ეს გახლდათ ანდრეა პირლო, რომელსაც ბოლო პერიოდში კრიტიკაც კი დაატყდა თავს - ბევრი იმაზეც ალაპარაკდა, რომ სჯობს, ანდრეას ნაკლები სათამაშო დრო მიეცეს და ამით, „ვეკია სენიორას“ თამაში უფრო სწრაფი გახდეს. განვლილმა პაექრობამ პირლოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაამყარა, მისი ბრწყინვალე თამაშის გვირგვინი კი შედეგიანი საჯარიმო დარტყმა გახლდათ. მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 3:2 - ნამატჩევს კონტე ემოციებს ვერ მალავდა:

*„სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ბრწყინვალედ დავიწყეთ: 7 მატჩიდან 6 მოგება და 1 ფრე სრულიად დამაკმაყოფილებელია. „მილანმა“ შემოგვიტია, სწრაფი გოლიც გაგვიტანა და რთულ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით, მაგრამ, საბედნიეროდ, მატჩის ბედი საჩვენოდ შემოვატრიალეთ. ამაში ლომის წილი ანდრეა პირლოს მიუძღვის, თუმცა არც სხვების დავიწყება შეიძლება. თუნდაც სებასტიან ჯოვინკოს, რომელმაც უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. სებას ხშირად აკრიტიკებენ, არადა, გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. ჯოვინკო არაფრით ჩამოუვარდება სხვა თავდამსხმელებს და მომავალში მას მეტი სათამაშო დრო მიეცემა“.*

### რომას 7 გაელვება

7 მატჩიდან 7 მოგება - „რომას“ ბრწყინვალე ასპარეზობა იტალიური სპორტული პრესის მთავარი სასაუბრო თემაა. ამან დაჩრდილა თვით „იუვენტუსი“-“მილანის“ ჯახი და კიდევ ბევრი სხვა საინტერესო ამბავი. „ინტერთან“ შეხვედრაში საოცრად ითამაშა **ფრანჩესკო ტოტიმ** და არაა გასაკვირი, რომ ჟურნალისტებმა მას კომენტარები უხვად ჩამოართვეს - სწორედ „იმპერატორს“ გადავცეთ სიტყვა, რომელიც „ჯალოროსის“ წარმატების მიზეზებზე საუბრობს:

*„რა თქმა უნდა, რუდი გარსიამ უდიდესი სამუშაო გასწია და წარმატებებში მისი წვლილი განუზომელია, მაგრამ თუ ფეხბურთელებმა ვერ ითამაშეს, მარტო მწვრთნელი ვერაფერს გახდება. ამიტომ, წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი მთლიანი გუნდია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს, „ჯალოროსიში“ მსოფლიო დონის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა შეუძლიათ. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში, არაერთ დიდებულ ფეხბურთელთან მითამაშია და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ“.*

მომდევნო ტურში, „რომა“ „ნაპოლის“ მასპინძლობს და ტოტიმ ამ მატჩზეც გააკეთა კომენტარი: *„ბევრი ვარაუდობდა, რომ ჩვენი წარმატებული სვლა მილანში შეწყდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. დარწმუნებული ვარ, „ნაპოლისთან“ კიდევ უკეთესად ვითამაშებთ და თუ ცოტა იღბალიც წაგვეხმარა, სასურველ შედეგს მივაღწევთ. სასურველი შედეგი მხოლოდ გამარჯვებაა“.*

### როსის მოულოდნელი დაბრუნება

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი რომში გაიმართა, სადაც „ლაციომ“ „ფიორენტინას“ უმასპინძლა. ფლორენციელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვინჩენცო მონტელამ** მცირე ხრიკს მიმართა, მან **ჯუზეპე როსის** გამოჯანმრთელების ამბავი დამალა და ლაზარეთში მოაზრებული ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში გაამწესა. ჟუზეპე ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი იყო და მართალია, ცდა არ დაუკლია, გოლის გატანა მაინც ვერ შეძლო.

ორიოდე სიტყვა „ლაციოზეც“ უნდა ვთქვათ, რადგან რომაელთა თავკაცმა მეტად მოულოდნელი გადაწყვეტილებები მიიღო - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საყვარელ ტაქტიკაზე (4-5-1) თქვა უარი და გუნდი 4-3-3-ზე გადააწყო. ეს ვაბანკს ჰგავდა, თუმცა ექსპერიმენტმა არ გაამართლა - „ლაციოს“ შეტევებს სიმწვავე აკლდა და შედეგიც შესაბამისი დაფიქსირდა, 0:0.

### ციფრები და ფაქტები

* ფრანჩესკო ტოტის ანგარიშზე 230 გოლია სერია A-ში.

* „რომა“ მეშვიდე გუნდია, რომელმაც სერია A 7 გამარჯვებით დაიწყო. წინა 6 შემთხვევიდან, დაწინაურებული გუნდი ჩემპიონი გახდა.

*“რომამ“ ინტერს მიჯრით მესამე მატჩი მოუგო გასვლაზე.

* „რომას' „ინტერთან“ 8 მატჩია არ წაუგია.

* მიმდინარე სეზონში, „ინტერმა“ პირველად გაუშვა გოლი პირველ ტაიმში.

* **სალი მუნტარიმ** ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა მიმდინარე ჩემპიონატში, განელმა მე-19 წამზე დალაშქრა „იუვენტუსის“ კარი.

* „მილანს“ მიჯრით სამი მატჩი აქვს წაგებული „იუვენტუსთან“ გასვლაზე.

* თუ ყველა ტურნირს გავითვალისწინებთ, „მილანს“ 6 გასვლითი მატჩია არ მოუგია.

* „ფიორენტინამ“ პირველი მატჩი დაასრულა ფრედ 2013 წელს.

* „ფიორენტინამ“ მხოლოდ ორჯერ ვერ გაიტანა გასვლით შეხვედრაში გოლი მას შემდეგ, რაც გუნდს ვინჩენცო მონტელა უდგას სათავეში.

* ბოლო 3 სეზონში, **ჩირო იმობილემ** სამჯერვე გაუტანა „სამპდორიას“ გენუაში, ერთხელ „პესკარას“, მეორედ „ჯენოას“ და მესამედ „ტორინოს“ შემადგენლობაში.

* მიმდინარე სეზონში, „სამპდორიამ“ პირველი გოლები გაიტანა საკუთარ მოედანზე და პირველი ქულა აიღო.

* „სამპდორიამ“ კარი მშრალად ბოლოს 30 მარტს შეინახა.

* **გორან პანდევს** 7 გოლი აქვს გატანილი „ლივორნოს“ კარში, ასეთი შედეგი მას სხვა არც ერთ გუნდთან არ აქვს.

* **დამიანო ბერარდიმ** „სასუოლოდან“ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში.

* „უდინეზეს“ საკუთარ მოედანზე 22 მატჩია არ წაუგია.

* „კალიარის“ გასვლაზე 17 თებერვლის შემდეგ არ მოუგია.

* „ვერონამ“ სერია A-ს გასვლითი მატჩი პირველად მოიგო 2001 21 ოქტომბრის შემდეგ.

* **ლუკა ტონიმ** 112-ე გოლი გაიტანა სერია A-ში და ამ მაჩვენებლით **ედინსონ კავანის** გაუთანაბრდა.

* „ატალანტამ“ წაგებათა 5-მატჩიანი სერია შეწყვიტა გასვლაზე, ვერონაში კი „კიევოს“ პირველად მოუგო.

სიმბოლური ნაკრები




იტალიის ნაკრები

# პრანდელის ვრცელი სია

## ბალცარეტი და როსი აძურას დაუბრუნდნენ

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნით ორ შეხვედრაში დაეყრდნობა. 11 ოქტომბერს „სკუადრა აძურა“ დანიას ესტუმრება, 15-ში კი სომხეთის ეროვნულ გუნდს ნეაპოლში უმასპინძლებს. ისიც აღვნიშნოთ, რომ იტალიამ უკვე მოიპოვა მუნდიალის საგზური და მოახლოებულ პაექრობებს მოსამზადებლად თუ გამოიყენებს. მიუხედავად ამისა, პრანდელიმ ოპტიმალურ შემადგენლობას უხმო და საგულისხმოა, რომ განაცხადში 29 ფეხბურთელი შეიყვანა.

სენიორ ჩეზარემ ეროვნულ გუნდში **ფედერიკო ბალცარეტი** და **ჯუზეპე როსი** დააბრუნა - პირველს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აღარ იწვევდა, ხოლო მეორემ უმძიმესი ტრავმა გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ პრანდელის სიაში 29 ფეხბურთელია, განაცხადს მიღმა სხვადასხვა მიზეზთა გამო კიდევ ბევრი კანდიდატი დარჩა: **ანჯელო ოგბონა, ლუკა ანტონელი, კრისტიან მაჯო, ანდრეა ბარცალი, მატია დე შილიო, ფაბიო კვალიარელა, ალესანდრო მატრი, სებასტიან ჯოვინკო, სტეფან ელ შაარავი** ...

**მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **ფედერიკო მარკეტი** (ლაციო), **სალვატორე სირიგუ** (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები: ინაციო აბატე** (მილანი), **ლეონარდო ბონუჩი** (იუვენტუსი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **ფედერიკო ბალცარეტი** (რომა), **დავიდე ასტორი** (კალიარი), **ანდრეა რანოკია** (ინტერი), **მანუელ პასკუალი** (ფიორენტინა), **ლორენცო დე სილვესტრი** (სამპდორია).

**ნახევარმცველები: ანდრეა პირლო** (იუვენტუსი), **კლაუდიო მარკიზიო** (იუვენტუსი), **დანიელე დე როსი** (რომა), **რიკარდო მონტოლივო** (მილანი), **ალბერტო აკვილანი** (რომა), **ანდრეა პოლი** (მილანი), **ანტონიო კანდრევა** (ლაციო), **ალესანდრო ფლორენცი** (რომა), **ალესანდრო დიამანტი** (ბოლონია), **ემანუელე ჯაკერინი** (სანდერლენდი, ინგლისი), **მარკო ვერატი** (პსჟ, საფრანგეთი), **ტიაგო მოტა** (პსჟ, საფრანგეთი).

**თავდამსხმელები: მარიო ბალოტელი** (მილანი), **ალესიო ჩერჩი** (ტორინო), **ალბერტო ჯილარდინო** (ჯენოა), **ლორენცო ინსინიე** (ნაპოლი), **პაბლო დანიელ ოსვალდო** (საუთჰემპტონი, ინგლისი), **ჯუზეპე როსი** (ფიორენტინა).

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**




ჯუზეპე როსი ეროვნულ გუნდში დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის შეჯამება

# უნაკლო ბარსა და ატლეტიკო




„რეალის“ მომავალი - ხესე და მორატა

**ლა ლიგის მორიგი ტურის შეჯამება „ბილბაოს“ და „ვალენსიას“ მატჩით დავიწყოთ. ეს შეხვედრა ყველაზე გვიან დასრულდა და წინა ნომერში მასზე არაფერი გვითქვამს...**

## ვალვერდემ ყოფილ გუნდს ვერ მოუგო

**ერნესტო ვალვერდე** „ვალენსიაში“ 2012 წლის დეკემბერში მივიდა და გუნდში სეზონის დასრულებამდე იმუშავა. მეხუთე ადგილის დაკავების შემდეგ გასაგები გახდა, რომ ბასკის ადგილი „ღამურებში“ არ იყო და „ოლიმპიაკოსის“ ყოფილი თავკაცი სათავეში ბილბაოს „ატლეტიკს“ ჩაუდგა.

ბასკებმა „სან მამეს ბარიაზე“ მესამე შეხვედრა ჩაატარეს და 3 ქულის აღება პირველად ვერ შეძლეს. მასპინძლები მოედანზე თავდამსხმელის გარეშე გამოვიდნენ - ნომინალური ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ოსკარ დე მარკოსი** თამაშობდა, რომელიც ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია. დაახლოებით ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო **მიროსლავ ჯუკიჩმაც**, ვინც ძირითადში 20 წლის **პაკო ალკასერი** გაამწესა, **ელდერ პოშტიგა** კი სკამზე დატოვა. საბოლოოდ, შეხვედრა არც ისე სანახაობრივი გამოდგა, გუნდებმა კი თითო ტაიმში თითო გოლი გაიტანეს. ანგარიში **ევერ ბანეგამ**, 11-მეტრიანით გახსნა, მეორე ნახევარში კი წონასწორობა **მიკელ რიკომ** აღადგინა და „ატლეტიკში“ თავისი პირველი გოლი გაიტანა.

მატჩის დროს მცირე ინციდენტსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც **გურპეგიმ** და ბანეგამ რამდენიმე „ტკბილი“ სიტყვა გაცვალეს, მაგრამ ყველაფერი ამით დასრულდა.

გუნდებმა ჩემპიონატში პირველი ფრე ითამაშეს და სატურნირო ცხრილში თითო ადგილით დაქვეითდნენ, ორივეს კი „ხეტაფემ“ გადაასწრო.

## კოშტა, კორო, ალექსისი და ლეონი

ამ ტურში დუბლის შესრულება ოთხმა ფეხბურთელმა მოახერხა. მორიგი გოლები გაიტანა **დიეგო კოშტამ**, ვის ანგარიშზეც უკვე 10 ბურთია. „ატლეტიკოს“ ფორვარდმა მატჩის დასაწყისში პენალტი ვერ გამოიყენა, თუმცა მოგვიანებით თავის გამოჩენა მაინც შეძლო. ბრაზილიელმა საკუთარი რეკორდი გაიმეორა - სეზონში 10-ზე მეტი გოლი 24 წლის ფორვარდს არასდროს გაუტანია, ამდენი ბურთი კი კოშტამ ბოლო ორ სეზონში, ჯერ „რაიოს“, შემდეგ კი „როხიბლანკოს“ რიგებში შეაგდო.

**ფერან კორომინას ტელეჩეა**, იგივე „კორო“ „ელჩეს“ ფეხბურთელია, რომელმაც პროფესიული კარიერა კატალონიურ „ესპანიოლში“ დაიწყო და ამ გუნდის რიგებში 8 წლის განმავლობაში ითამაშა. მე-8 ტურში, კორომინასის გუნდი სწორედ „ესპანიოლს“ დაუპირისპირდა და „ელჩეს“ შემტევმა ყოფილ გუნდს ორი გოლი გაუტანა. 30 წლის ფეხბურთელმა პრიმერას შეხვედრაში დუბლის შესრულება პირველად შეძლო.

ორი გოლით და საგოლე პასით გამოირჩა **ალექსის სანჩესი**, რომელიც „ბარსელონა“-„ვალიადოლიდის“ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჩილელმა განსაკუთრებით კარგად პირველი გოლის ეპიზოდში ითამაშა - „ბარსა“ 0:1-ს აგებდა, როდესაც სანჩესმა საჯარიმოს გარედან გაისროლა და ტურის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა.

ყველაზე ლამაზი ბურთი კი **პედრო ლეონის** ანგარიშზე იყო. „ხეტაფეს“ ნახევარმცველმა მოედნის ცენტრიდან, საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა თავი და საკუთარ გუნდს მორიგი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. მადრიდის „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ასევე დუბლი შეასრულა, მეორე გოლიდან რამდენიმე წუთში კი ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. სხვათა შორის, „მარკამ“ საკუთარ ვებგვერდზე მკითხველის გამოკითხვა ჩაატარა. შეკითხვა ასე ჟღერდა: „პედრო ლეონის გოლი შემთხვევითობა იყო, თუ ფეხბურთელმა ასე განზრახ დაარტყა?“. გამოკითხულთა 56,7-მა პროცენტმა მიიჩნია, რომ ფეხბურთელმა ყველაფერი გათვალა და კარში დაარტყა, 43,3 პროცენტის აზრით კი, ლეონი საჯარიმოში აწვდიდა და გოლი შემთხვევით გავიდა.

## ხესე და მორატა

მადრიდის „რეალს“ ძალიან გაუჭირდა და „ლევანტეს“ 90-ე წუთის შემდეგ გატანილი ორი ბურთით მოუგო. „სამეფო კლუბის“ რიგებში **ალვარო მორატამ** და **ხესე როდრიგესმა** ითამაშეს. 20 წლის მორატამ გოლიც გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა, ხესემ კი ამ საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა მიიღო და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

მიმდინარე სეზონში, მორატამ ლა ლიგაში სულ 80 წუთი ითამაშა, **ქარიმ ბენზემამ** კი მოედანზე 646 წუთი გაატარა. სტატისტიკის მიხედვით, ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი გაცილებით პროდუქტიულია. ნათამაშებ წუთებს თუ გავითვალისწინებთ, მორატა ბენზემაზე ხშირად ურტყამს კარში, უფრო მეტ სახიფათო მომენტს ქმნის, მეტ ორთაბრძოლას იგებს და გუნდისთვის მეტი სარგებელი მოაქვს. სწორედ ამის გამო, ესპანელი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ მომდევნო ტურში ძირითად შემადგენლობაში სწორედ ახალგაზრდა ფეხბურთელი უნდა იყოს და არა ბენზემა.

ხესემ „ლევანტესთან“ სულ 17 წუთი ითამაშა და მიუხედავად მცირე დროისა, საგოლე კომბინაციაში მონაწილეობის გარდა, რამდენიმე სახიფათო გადაცემაც შეასრულა.

## სოსიედადი კრიზისშია

**იაგობა არასატე** რთულ სიტუაციაშია - „სოსიედადის“ ახალგაზრდა დამრიგებელმა გუნდი **ფილიპ მონტანიესგან** სეზონის დაწყების წინ ჩაიბარა. „რენში“ წასულმა სპეციალისტმა არასატეს ლა ლიგის მეოთხე და ჩემპიონთა ლიგის მონაწილე კლუბი დაუტოვა. 35 წლის მწვრთნელმა კარგად დაიწყო - „ლა რეალმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა და პრიმერას პირველ ორ ტურში 4 ქულა დააგროვა, თუცმა ამის შემდეგ გუნდს ჩავარდნა დაეწყო. ესპანეთის ჩემპიონატში „სოსიედადს“ უკვე 6 ტურია არ მოუგია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში კი ორივე შეხვედრაში დამარცხდა. ბოლო გამარჯვება გუნდმა 28 აგვისტოს, „ლიონთან“ მოიპოვა, იქიდან მოყოლებული კი 3 მატჩი ფრედ დაასრულა და 5 წააგო. ბასკებმა სიტუაცია დროულად უნდა გამოასწორონ, თორემ შეიძლება „ვილიარეალის“ ბედი გაიზიარონ. შეგახსენებთ, რომ 2010/11 წლების სეზონში „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში 6-ვე თამაში წააგო, სეზონის ბოლოს კი პრიმერადანაც გავარდა.

### ბომბარდირები

10 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
7 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
5 - პედრო (ბარსელონა), როდრი (ალმერია)

### ასისტენტები

6 - კოკე (ატლეტიკო), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
5 - ნეიმარი (ბარსელონა)
4 - პატრიკ ებერტი (ვალიადოლიდი), კანი (ვილიარეალი)

### უდისციპლინო ფეხბურთელები

1. ხუან კალა (სევილია) - 4 ყვითელი და 1 წითელი
2. ალბერტო ბოტია (ელჩე) - 5 ყვითელი
3. მიჩელი (ხეტაფე) - 2 ყვითელი და 1 წითელი
4. ვიქტორ სანჩესი (ესპანიოლი) - 2 ყვითელი და 1 წითელი
5. ალეხანდრო გალვესი (რაიო ვალეკანო) - 2 ყვითელი და 1 წითელი

ტატო ბაციკაძე

### სიმბოლური ნაკრები






● გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტურის შეჯამება

# სამთა ბრძოლა სეზონის ბოლომდე?

## ბაიერნი უკვე ყველაზე მაღლა დგას

გასულ უქმეებზე ბუნდესლიგის 51-ე სეზონის პირველი მეოთხედი მიილია. უგოლო ფრე ჯერ კიდევ არ დაფიქსირებულა და გამოიკვეთა სამი ლიდერი. „ბაიერნი“ ერთპიროვნულად სწორედ მე-8 ტურის შემდეგ გაიჭრა წინ, დორტმუნდის „ბორუსიამ“ კი პირველი მარცხი იწვნია და რეკორდმაისტერს ერთი ქულით ჩამორჩება. იქვეა „ლევერკუზენიც“ და ცხადად ჩანს, რომ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, საუკეთესო სამეულში ადგილებს სწორედ ეს გუნდები გადაინაწილებენ. გადავწყვიტეთ, რომ დღეს ოდნავ განსხვავებული ტურის შეჯამება გავაკეთოთ და შევაჯამოთ არა მარტო მე-8 ტური, არამედ მთლიანად სეზონის პირველი მეოთხედი აქცენტს ლიდერთა ტრიოზე გავამახვილებთ.



მიუნხენელთა გალიდერება ლუდის ფესტივალს დაემთხვა

### ბაიერნი

(I ადგილი, 20 ქულა)

**კარგია:** სეზონის დასაწყისში გადატანილი ლოგიკური სირთულეების შემდეგ, გუნდმა **ხოსეპ გვარდიოლას** ფეხბურთი მაინც საკმაოდ სწრაფად გაითავისა და ახლა თამამად უნდა ითქვას, რომ მიუნხენური გრანდის ფეხბურთელები ახალ დამრიგებელს კარგად უგებენ. პირველ ტურებში „ბაიერნს“ ბურთის ფლობის მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა გუნდი ბევრი საგოლე მომენტის შექმნას ვერ ახერხებდა, რის გამოც მიუნხენში **ლუის ვან გაალის** ფორმაციის „ბაიერნი“ გაახსენდათ. თუმცა მერე, რეკორდმაისტერმა ეტაპობრივად უმატა მომენტების შექმნას, გოლების გატანასაც მოუხშირა. მე-8 ტურში კი ბავარიელები პირველ ადგილზე გადავიდნენ. პოზიტიურად უნდა შეფასდეს „ბაიერნის“ დაცვის ხაზის თამაშიც - მიუნხენელებს 8 ტურში მხოლოდ სამი ბურთი აქვთ მიღებული.

**გამოსასწორებელია:** საგოლე მომენტების გამოყენება. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გვარდიოლას მაინც აქვს რაღაც გამოსასწორებელი და ეს პირველ რიგში მომენტების გამოყენებას ეხება. „ლევერკუზენთან“ მიუნხენელებმა **ბერნდ ლენოს** კარისკენ 27-ჯერ დაარტყეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს.

**მოგებული:** თუკი „ბაიერნის“ რომელიმე მოთამაშეს მოგებული უნდა ვუწოდოთ, ეს პირველ რიგში **რაფინიაზე** ითქმის. რაკი გვარდიოლა **ფილიპ ლამს** უმეტესად საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებს, ბრაზილიელი მარჯვენა მცველის პოზიციაზე უალტერნატივო გახდა და მუდმივად თამაშობს. არადა, სეზონის დაწყებამდე რაფინია თითქოს სათადარიგოთა „სკამის ხეხვისთვის“ იყო განწირული.

**წაგებული: მარიო მანჯუკიჩი.** ხორვატ თავდამსხმელს კლასიკურ „ლუზერად“ ვერ მოვიხსენიებთ, რადგან მატჩების უმეტესობაში მოედანზე იყო და გოლებიც გაიტანა. თუმცა ისეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში, როგორებიც „ბაიერნმა“ მანჩესტერში და ლევერკუზენში ჩაატარა, გვარდიოლამ მანჯუკიჩი ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა.

### დორტმუნდი

(II, 19 ქულა)

**კარგია:** „დორტმუნდის“ პრესინგი ისევ შეუდარებელია. დორტმუნდელებს თავიანთი პრესინგისა და საწინაალმდეგო პრესინგის კონცეფციაში ახალწვეული **ჰენრიხ მხითარიანის** ინტეგრირება მოუხდათ, რასაც ნიჭიერმა სომეხმა გამთამაშებელმა თავი სწრაფად და თითქმის უმტკივნეულოდ გაართვა. დორტმუნდელები ისევ ძალიან ბევრს დარბიან, ფლანგებსაც კარგად აკონტროლებენ და შეიძლება ითქვას, რომ კლოპის გუნდმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო.

**გამოსასწორებელია:** მიუხედავად იმისა, რომ „დორტმუნდმა“ ამ რვა ტურში ყველაზე მეტჯერ დაარტყა მეტოქეთა კარის მიმართულებით და ყველაზე მეტი (21) გოლიც გაიტანა, გუნდის მთავარ ნაკლად მაინც საგოლე მომენტების გამოყენების პროცენტულად დაბალი მაჩვენებელია. ამ კრიტერიუმში „ბორუსია“ ბუნდესლიგის ლიდერებს შორის არაა. ფაქტია, რომ „დორტმუნდის“ წინა ხაზს მეტი ეფექტიანობა მართებს.

**მოგებულები: ერიკ დურმი** და **იონას ჰოფმანი.** კლოპმა დურმს პოზიცია შეუცვალა და ფლანგის მცველად აქცია. ეს უკანასკნელიც შანსს იყენებს და ძირითად შემადგენლობას ძალიან მიუახლოვდა. დურმმა ბოლო ხუთ ოფიციალურ შეხვედრაში იასპარეზა, რაც **მარსელ შმელცერის** ტრავმის ბრალიცაა. მოგებულია ახალგაზრდა შემტევი იონას ჰოფმანიც, რომელიც კლოპმა 12-დან 11 ოფიციალურ მატჩში შეცვლაზე ათამაშა და მან გოლს პლუს პასის რეიტინგში შვიდი ქულა მოაგროვა.

**წაგებული: იულიან შიბერი.** „დორტმუნდში“ მეორე სეზონს ატარებს და ზაფხულში არაერთხელ თქვა, მინდა, რომ მომდევნო სეზონში სასტარტო შემადგენლობას მაქსიმალურად მივუახლოვდე და მწვრთნელის უფრო ხშირი ნდობა დავიმსახუროო. მაგრამ ცენტრფორვარდმა მოედანზე მხოლოდ 15 წუთი გაატარა და ხშირად განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა. შიბერი „დორტმუნდიდან“ წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს, რადგან გრანდში „სკამის ხეხვას“, საშუალო დონის კლუბში თამაში ურჩევნია.

### ლევერკუზენი

(III ადგილი, 19 ქულა)

**კარგია:** ლევერკუზენის „ბაიერმა“ არსებობის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აილო და 8 ტურის შემდეგ 19 ქულა აქვს. „ფარმაცევტებმა“ 8-დან 6 მატჩის მოგება მოახერხეს, რაც კლუბისთვის ამ ფაზაში ასევე საუკეთესო შედეგია. ექსპერტები ამ ყველაფერს ფინელი მთავარი მწვრთნელის, **სამი ჰიიპიას** დამსახურებად მიიჩნევენ, რომლის ხელშიც „ლევერკუზენი“ ჭკვიანურად, კონტრშეტევებზე თამაშობს. ჰიიპიას სტრატეგიამ, რომელსაც, მიუხედავად კონტრშეტევებზე თამაშისა, დაცვაზე მკაცრად ორიენტირებულ ფეხბურთს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, შეხვედრების უმეტესობაში გაამართლა. ჰიიპია „ლევერკუზენს“ სამი ჩამშლელი ნახევარმცველით (**ლარს ბენდერი, რაინარტცი, როლფესი**) ათამაშებს, თუმცა მათ საჭიროების შემთხვევაში გარემარბები, **სონი** და **სემიც** აქტიურად ეხმარებიან. ამასთან, მათი ამოცანა გოლეადორ **შტეფან კისლინგის** პასებითა და ჩაწოდებებით მომარაგებაცაა.

**გამოსასწორებელია:** თუკი „ლევერკუზენში“ რამე გამოსასწორებელია, პირველ რიგში ეს დაცვის ხაზის არასტაბილურობაზე ითქმის. უფრო კონკრეტულად, ფლანგის მცველების არასტაბილურობაზე, სადაც ჰიიპიას არცთუ მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს - მარჯვენა მცველად ხან **ჯულიო დონატის** ათამაშებს, ხანაც **რობერტო ჰილბერტს** ათამაშებს, მარცხნივ კი **სებასტიან ბოენიშს**, რომელიც ასევე სუსტ სეზონს ატარებს.

**მოგებული:** შტეფან კისლინგი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ნაკრებს მილმა დატოვების გამო საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, კისლინგი არ იბნევა, არც კომპლექსდება და 8 ტურში 5 გოლი აქვს გატანილი. ბუნდესგუნდში არგამოძახების გამო ატეხილი დისკუსია შტეფანს ნერვებს უშლის, მაგრამ მის შედეგიანობაზე არ აისახება.

**წაგებული: ფილიპ ვოლშაიდი.** ცოტა ხნის წინ ვოლშაიდს, რომელიც ცენტრალური მცველია, გერმანიის ნაკრებში დამკვიდრებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, ამას ვინ ჩივის, მან ადგილი „ლევერკუზენის“ ძირითად შემადგენლობაშიც დაკარგა - ჰიიპია **ემირ სპაჰიჩს** უფრო ენდობა.

### სამეულს მიღმა

სამეულს მიღმა მყოფი გუნდები ისე თამაშობენ და ცხრილშიც ისეთი სიტუაციაა, რომ ტენდენციებზე საუბარიც კი რთულია. ფაქტია, რომ „ჰანოვერმა“ (მე-5 ადგილი) სეზონი კარგად დაიწყო და ცხრილის ზედა ნაწილში პოზიციებს ინარჩუნებს. იქვეა ბერლინის „ჰერტაც“, რომელსაც დღევანდელი გადასახედიდან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე არ ემუქრება. ბოლო დროს გამოსწორდა „გლადბახიც“ (მე-4 ადგილი), თუმცა ამ გუნდისგან დალმასვლასაც ვერ გამოვრიცხავთ. „შალკე“ აზრზე მოდის და ვერც მოდის, ფაქტი კი ის არის, რომ გელზენკირხენულ კლუბს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის პოტენციალი ნაღდად გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ უქმეებზე პირველი თამაში მოიგო, ძალიან სუსტია „ბრაუნშვაიგი“ და წესით, ეს გუნდი ისევ მეორე ბუნდესლიგაში უნდა დაქვეითდეს. თუ არ მოუმატეს, ელიტაში ადგილის შენარჩუნება „ნიურნბერგს“ და „ფრაიბურგსაც“ გაუჭირდებათ.

### სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშ. შეფ |
|---|---|---|---|
| 1. მარკო როისი | დორტმუნდი | 8 | 2.19 |
| 2. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 8 | 2.29 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 8 | 2.29 |
| 4. ტონი კროოსი | ბაიერნი | 8 | 2.33 |
| 5. ჟერომ ბოატენგი | ბაიერნი | 7 | 2.36 |
| 6. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 8 | 2.38 |
| 7. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 6 | 2.42 |
| 8. მაქს კრუზე | გლადბახი | 8 | 2.44 |
| 9. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი | 8 | 2.56 |
| 10. არიენ რობენი | ბაიერნი | 7 | 2.60 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მაქს კრუზე | გლადბახი | 8 | 5 | 5 | 10 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 8 | 6 | 4 | 10 |
| 3. სიდნი სემი | ლევერკუზენი | 8 | 6 | 4 | 10 |
| 4. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 8 | 5 | 3 | 8 |
| 5. ალექსანდრუ მაქსიმი | შტუტგარტი | 6 | 3 | 5 | 8 |
| 6. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 7 | 5 | 3 | 8 |
| 7. რაფაელ ვან დერ ვაარტი | ჰამბურგი | 8 | 4 | 4 | 8 |
| 8. კევინ ფოლანდი | ჰოფენჰაიმი. | 8 | 5 | 3 | 8 |
| 9. პიერ-ემერიკ ობამეიანგი | დორტმუნდი | 8 | 5 | 2 | 7 |
| 10. ანტონი მოდესტე | ჰოფენჰაიმი | 8 | 6 | 1 | 7 |

### VIII ტურის გმირი

## პიერ მიშელ ლასოგა (ჰამბურგი)



„ჰამბურგის“ ახალ მწვრთნელ **ბერტ ვამ მარვეიკს** პიერ-მიშელ ლასოგა მოსწონს. ჰოლანდიელი სპეციალისტი მას კარგ ბიჭს და ძალიან კარგ თავდამსხმელს უწოდებს. ლასოგასაც ძალიან მოსწონს ვან მარვეიკთან მუშაობა, რაც შაბათს დაადასტურა: პიერ-მიშელმა ჰეთთრიკი 8 წუთში შეასრულა, რაც ბუნდესლიგის ყველა დროის უსწრაფესი ჰეთთრიკია! აქამდე ეს რეკორდი (რა საკვირველია) **გერდ მიულერს** ეკუთვნოდა (სამი გოლი 11 წუთში). შეგახსენებთ, რომ ლასოგა „ჰერტას“ საკუთრებაა, ჰამბურგში კი იჯარით თამაშობს.

### სავარაუდო შემადგენლობები




● ტრავმა



დიდიე ია კონანი

## ია კონანისთვის 2013 დამთავრდა

„ჰანოვერის“ თავდამსხმელ **დიდიე ია კონანს** მარცხენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. გარკვეულია, რომ 29 წლის ფორვარდი 2013 წელს ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს, რაც კლუბმაც დაადასტურა. ია კონანი „ჰანოვერს“ ბუნდესლიგის მეორე წრეში დაუბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტურის შეჯამება

# მეტი ემოცია და ნაკლები ლოგიკა



„სიტი“-„ევერტონის“ შეხვედრამ მონაწილეებში ემოციების მოზღვავება გამოიწვია

„სიტი“-„ევერტონის“ დაპირისპირება VII ტურში ცენტრალური იყო. შეხვედრის მთავარი არბიტრის **ჯონათან მოსის** მუშაობამ პრესას საფეხბურთო დეტალებზე არანაკლები საწერი მისცა. 42 წლის სანდერლენდელმა კრიტიკის ნიაღვარი დაიმსახურა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზეც.

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): *„მატჩის მიმდინარეობისას ბევრი რამით დავრჩი კმაყოფილი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ „ევერტონი“ დღეს იოლი მეტოქე არ ყოფილა. ჩემპიონთა ლიგაში წაგების შემდეგ გუნდი მორალური და ფიზიკური თვალსაზრისით გადაღლილი იყო და მიხარია, რომ ბიჭებმა მოახერხეს და მტკიცე ხასიათი გამოავლინეს. ჯო ჰარტზე ცალკე მინდა თქმა. იმის გათვალისწინებით, თუ რამხელა ზეწოლა ხორციელდება მასზე, ძირითადში მისთვის ადგილის ჩაბარება რაღაც წილად რისკი იყო. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად მას ჩემი, თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების ნდობა სჭირდება.*

*როგორც წესი, მსაჯის მუშაობაზე კომენტარს არ ვაკეთებ ხოლმე. დღესაც ასე მოვიქცევი. მხოლოდ იმას დავძენ, რაშიც დარწმუნებული ვარ: დღეს გამარჯვება არბიტრის წყალობით არ დაგვიმსახურებია. სამი გოლის გარდა კიდევ გვქონდა რეალური შანსები. ასე რომ, არ მგონია, მოსის შეცდომებს შედეგზე გადამწყვეტი გავლენა ჰქონოდა“.*

**რობერტო მარტინესი** (ევერტონი): *„შეხვედრა ძალიან კარგად დავიწყეთ, თუმცა შემდეგ თამაშზე კონტროლი დავკარგეთ და დავმარცხდით. გულშემატკივარმა შესანიშნავი სანახაობა იხილა. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული უხეშობა არ ყოფილა, ფეხბურთელებმა მსაჯისგან რვა ყვითელი ბარათი მიიღეს. ჩემი აზრით, ეს უფრო იმისთვის ხდებოდა, რომ მსაჯს შეხვედრის მსვლელობა ხელიდან არ გაჰქცეოდა. მოსი უფრო ემოციურ გადაწყვეტილებებს იღებდა, ვიდრე რაციონალურს. რიგ მომენტებში ის თამაშის მიმდინარეობას აფერხებდა. მან მოახერხა და თამაშს დაღი დაასვა“.*

**ტურის ფაქტები**

„მანჩესტერ სიტიმ“ „ევერტონს“ უკანასკნელი 9 შეხვედრიდან მხოლოდ მე-2 მოუგო, ამას გარდა ითამაშა 1 ფრე და 6-ჯერ დამარცხდა.

16 მატჩიდან „ქალაქელებმა“ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს კარის მშრალად შენახვა. ეს 2011 წლის სექტემბერში მოხდა, როცა „ეტიჰადზე“ 2:0 დასრულდა.

„სიტისთვის“ ეს ზედიზედ 54-ე შეხვედრაა შინ, რომელშიც მას მინიმუმ გოლი მაინც გააქვს.

■ ■ ■

„კარდიფს“ „ნიუკასლთან“ ბოლოს შინ 1960/61 წლების სეზონში ჰქონდა ნათამაშები. ის შეხვედრა მასპინძლებმა 3:2 მოიგეს.

სხვადასხვა ტურნირის ჩათვლით „ნიუკასლმა“ მიჯრით მე-7 მატჩი მოიგო. პროფესიულ ლიგაში მეტოქეები ბოლოს 2009/10 წლების სეზონის ჩემპიონშიპში შეხვდნენ.

■ ■ ■

„ფულჰემსა“ და „სტოკს“ შორის ბოლო ორი სეზონის ტრადიცია შენარჩუნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასპინძელმა ისევ მოიგო.

მათი დაპირისპირებები ტრადიციულად ნაკლებად შედეგიანია. ჩემპიონატსა და თასებზე ბოლო 17 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ სამ გოლზე მეტი გავიდა.

■ ■ ■

„ასტონ ვილას“ „ვეფხვებთან“ ზედიზედ 8 თამაში ჰქონდა მოგებული და თანაც 6-ჯერ მშრალი ანგარიშით. მოგებათა სერია შეწყდა, სამაგიეროდ, ბირმინგემელებმა ისევ არ გაუშვეს. უკანასკნელად ეს 1987 წლის აგვისტოში მოხდა. მაშინ გუნდები ძველ მეორე ლიგაში (დღევანდელი ჩემპიონშიპი) თამაშობდნენ.

■ ■ ■

„კრისტალ პალასს“ „ლივერპულთან“ ბოლო 5-დან 3 თამაში აქვს მოგებული. შაბათის შეხვედრამდე ბოლო მატჩიც სწორედ მათ სასარგებლოდ იყო დასრულებული. ლონდონელებმა მრისხანე მეტოქე მაშინ ასოციაციის თასიდან გამოაგდეს.

„ლივერპულმა“ „ენფილდზე“ უკანასკნელად „პალასთან“ 1991 წლის 2 ნოემბერს 2:0 წააგო.

**სტივენ ჯერარდმა** პრემიერლიგაში თავისი 99-ე გოლი გაიტანა. „წითლების“ ლეგენდარული კაპიტნისთვის ეს ზედიზედ მე-15 სეზონია პრემიერლიგაში (დაწყებული 1999/2000-დან), რომელშიც მას მინიმუმ 1 გოლი აქვს მაინც აქვს გატანილი.

■ ■ ■

1997 წლიდან მოყოლებული „სანდერლენდს“ შინ „იუნაიტედთან“ ერთხელაც არ მოუგია. მაშინ მასპინძლებმა 2:1 იძალეს.

1997 წლის დაპირისპირება პრემიერლიგაში ჩატარებული 24-დან დღემდე ერთადერთია, რომელშიც „შავი კატები“ „წითელ ეშმაკებზე“ ძლიერები აღმოჩნდნენ.

„იუნაიტედმა“ „სტედიუმ ოფ ლაითსზე“ ზედიზედ მესამედ იმარჯვა ერთი ბურთის სხვაობით.

**ადნან იანუზაი** მე-2 ფეხბურთელი გახდა „იუნაიტედის“ ისტორიაში, ვინც სასტარტოში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაში დუბლი შეასრულა. ანალოგიური რამ **რუუდ ვან ნისტელროიმ** გააკეთა.

■ ■ ■

„ნორვიჩი“ უკვე 10 თამაშია ვერ ახერხებს „ჩელსის“ ძლევას. აქ შედის არამხოლოდ პრემიერლიგის თამაშები. „იადონებმა“ ეს ბოლოს 1994 წლის დეკემბერში მოახერხეს (3:0).

■ ■ ■

მეტოქეები ერთმანეთს ბოლო 30 წლის განმავლობაში მეხუთედ შეხვდნენ და აქედან 3-ჯერ ფრედ ითამაშეს (მათ შორის ორჯერ გასულ სეზონში). თითოჯერ კი გამარჯვება იზეიმეს.

„გედებმა“ გასვლით შეხვედრაში „წმინდანების“ ძლევა უკანასკნელად 1953 წლის მარტში შეძლეს.

პრემიერლიგის 7 ტურში „საუთჰემპტონს“ 2 გოლი აქვს გაშვებული, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ლიგაში. არტურ ბორუცმა კი უკვე 5-ჯერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

■ ■ ■

„დეზებს“ VII ტურამდე 2002/03-ის სეზონის შემდეგ საუკეთესო სტარტი ჰქონდათ პრემიერლიგაში.

მასპინძელმა ბოლო 26-დან მხოლოდ მე-3 თამაში დათმო თანაქალაქელთან. ბოლოს ეს 14 წლის წინ მოხდა.

„უაით ჰართ ლეინზე“ გამართული 17 მატჩიდან კი „ჩაქუჩებმა“ მხოლოდ მე-2 მოიგეს, წააგეს 11-ჯერ და 4-ჯერ ფრედ ითამაშეს.

■ ■ ■

„არსენალს“ „ჰაუტორნსზე“ 7-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. 7-დან „მეთოფეებმა“ 4-ჯერ მოიგეს და 3-ჯერ ფრედ ითამაშეს. იგულისხმება თასის მატჩებიც.

ეს გუნდები ერთმანეთს მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ შეხვდნენ. ლიგის თასზე მატჩი ანალოგიური ანგარიშით დასრულდა, თუმცა შემდეგ „არსენალმა“ პენალტების სერიაში იძალა.

**სტატისტიკა VII ტურის შემდეგ**

**საუკეთესო ბომბარდირები:**

6 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)
5 - ლოიკ რემი (ნიუკასლი)
4 - რომელუ ლუკაკუ (ევერტონი) კრისტიან ბენტეკე (ასტონ ვილა), იაია ტურე, სერხიო აგუერო (ორივე მანჩესტერ სიტი), აარონ რემსი, ოლივიე ჟირუ (ორივე არსენალი)

**საუკეთესო მეპასეები:**

3 - მესუთ იოზილი (არსენალი)
2-2 პასი აქვს კიდევ 18 ფეხბურთელს.

**გოლი+პასი**

8 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული) - 6+2
6 - ლოიკ რემი (ნიუკასლი) - 5+1, აარონ რემსი (არსენალი) - 4+2, ოლივიე ჟირუ (არსენალი) - 4+2,
5 - რომელუ ლუკაკუ (ევერტონი) - 4+1, სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 4+1, იაია ტურე (მანჩესტერ სიტი) - 4+1, უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 3+2, ალვარო ნეგრედო (მანჩესტერ სიტი) - 3+2

**ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები:**

5 - ფერნანდო ტორესი (ჩელსი), მარკ ნოუბლი (ვესტ ჰემი)
4 - ლუკას ლეივა (ლივერპული), ლორან კოშელნი, მატიო ფლამინი (ორივე არსენალი), ჯონ ოში (სანდერლენდი)

*წითელი ბარათი 3 ქულა, ყვითელი - 1*

**ლევან ბიბილაშვილი**

## სავარაუდო შემადგენლობები






ძიუდო. მეტოქე

# მამადლიც წავიდა


ელნურ მამადლიმ (ლურჯი) პეკინის ოლიმპიადის ფინალში კი ჩუნ ვანგი დააჩოქა

25 წლის ასაკში სპორტული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა აზერბაიჯანელმა ევროპის ორგზის და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანმა **ელნურ მამადლიმ** (81). მიზეზი ფეხის ტრავმაა, რომელიც სპორტსმენს კარგა ხანია, აწუხებს და რომელიც ვერაფრით მოირჩინა. „ფეხის სერიოზული ტრავმა მაწუხებს. ჯერ კიდევ ივლისში ვგეგმავდი გამოსვლას აგვისტოში ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში, მაგრამ ტრავმამ გეგმები ჩამიშალა. გამოკვლევის ბოლო შედეგები სასიხარულო არ იყო. ფეხი, რომელზეც რამდენიმე ოპერაცია გავიკეთე, ძლიერად მტკივა. ამ ასაკში კარიერის დასრულება არ მსურდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა" - განუცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა აზერბაიჯანულ მედიას.

შეგირდის წასვლას იქაური ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **აგიარ ახუნდზადეც** გამოეხმაურა, ვის ხელშიც მოიპოვა მამადლიმ ზემოაღნიშნული ტიტულები. „ტრავმამ ფრიად გაანვალა ელნური. ყველაზე სერიოზული ბოლო დაზიანება გამოდგა – ფეხი გაუსივდა, ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ყველაფერი უშედეგო გამოდგა. მისი გადაწყვეტილება კარიერის დასრულების შესახებ სამწუხაროა, რადგან დიდი ტალანტი და დიდი პოტენციალი ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, მან საკუთარ თავს რეალიზება ბოლომდე ვერ გაუკეთა. თუმცა გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს, რასაც ჩვენ პატივი უნდა ვცეთ. მე ვურჩევდი მას, მწვრთნელობა დაეწყო ჯერ კიდევ კარიერის დასრულებამდე. სპორტის ასე მკვეთრად მიტოვებაც არ შეიძლება, ეს უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე. შესაძლოა, ერთხელ ისევ გამოიკვლიოს ფეხი და კარიერის გაგრძელებაც გადაწყვიტოს" - ასე ოპტიმისტურად დაასრულა თავისი კომენტარი ახუნდზადემ.

ამ მწვრთნელისთვის ელნურ მამადლი გამორჩეული სპორტსმენი იყო. ახუნდზადეს პეკინის ოლიმპიურ ციკლში მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი **ელხან მამადლი** (100), მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალზადე** (66) და კიდევ რამდენიმე ძლიერი ფალავანი ჰყავდა, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას მამადლიმ მიაღწია, რომლისთვისაც ყველაზე წარმატებული პერიოდი იმ ოლიმპიური ციკლის ბოლო სამწლიანი მონაკვეთი იყო. მამადლი სპორტს 81 კილოგრამის ათლეტად კი დაემშვიდობა, მაგრამ კარიერის უმეტესი წლები 73 კილოგრამში გაატარა. ზემოჩამოთვლილ მიღწევათაგან უმეტესობაც იქ მოიპოვა. პირველ სერიოზულ წარმატებას მან 2006 წელს, 18 წლისამ მიაღწია (ეს – ოფიციალური საბუთებით, თორემ თავს ვერ დავდებთ, რომ ასაკი გადაკეთებული არ ექნება), როცა ფინურ ტამპერეში, ევროპის პირველობის ფინალში ფრანგი **დანიელ ფერნანდესი** დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. ამის მიუხედავად, მას მაინც არ მიიჩნევდნენ წონის ლიდერად, თუმცა სკეპტიკოსთა საწინააღმდეგოდ, ათლეტმა 2007 წელსაც გაიბრწყინა – ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მაგრამ სამხრეთკორეელ **კი ჩუნ ვანგთან** დამარცხდა და მეორეზე დარჩა. მამადლის რევანშის შანსი მომდევნო სეზონშივე მიეცა, პეკინის ოლიმპიადის ფინალში და კარგადაც გამოიყენა – ვანგი სულ რაღაც 20-ოდ წამში დაამარცხა და კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. იმავე წელს ის ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ წლის სპორტსმენად დაასახელა.

მიზეზთა გამო, მამადლის კარიერა ამის შემდეგ დაღმავალი გზით წარიმართა. ეტყობა, ფულით გაზულუქება მხოლოდ ქართველ სპორტსმენთა ხვედრი არაა და აზერბაიჯანელიც გვარიანად გადაჰყვა „მუცლით ქეიფს" - კარგა ხანს არ გამოჩენილა ტატამზე, ხოლო როცა დაბრუნდა, უკვე 81-ში მოგვევლინა. ახუნდზადეც და ქომაგებიც ამას ჩვეულებრივად შეხვდნენ – სპორტსმენი 73-ში უკვე ძალიან ბევრს იკლებდა, თუმცა უბედურება ის იყო, რომ ვერც ახალ წონაში „დაიჭირა" წონა და გულმა 90-სკენ გაუწია. ამაზე უკვე ახუნდზადემ მწარე კომენტარი გააკეთა და სპორტსმენის სურვილს არაპროფესიონალიზმი უწოდა. თუმცა მამადლი ამან ვერ შეაჩერა და რამდენიმე ტურნირი 90-შიც იჭიდავა. ცხადია, ფრიად წარუმატებლად, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იქ მისი ადგილი არ იყო და ისევ 81-ში დაბრუნდა. ადაპტაცია აქაც კარგა ხანს გაუგრძელდა, თუმცა 2011 წელს მორიგ დიდ გამარჯვებას მაინც მიაღწია – სტამბოლში მეორედ გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატში, როცა ფინალში იმხანად ჯერ კიდევ მოლდოვის სახელით მოასპარეზე, სადღეისოდ კი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაქცეული **სერგიუ ტომა** დაამარცხა. ამის შემდეგ ერთხელაც გაიბრძოლა, როცა შარშან ალმატიში მასტერსის ტურნირი მოიგო, მეტი კი ვერაგმა ტრავმამ არ დააცალა. თუმცა გარკვეულ ტურნირებში იმის შემდეგაც იჭიდავა: შარშანვე დიუსელდორფის „დიდ პრიზზე" ბრინჯაო მოიპოვა, მოსკოვის „დიდ მუზარადზე" კი მეხუთეზე გავიდა. მან შარშანვე ლონდონის ოლიმპიადაზეც იჭიდავა, თუმცა პირველივე წრეში კანადელთა მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ანტოინ ვალოის-ფორტიერთან** წააგო. კარიერის ბოლო ტურნირი წლევანდელ თებერვალში ისევ დორტმუნდში გამართული ზემოაღნიშნული რანგის შეჯიბრება გამოდგა, სადაც ასევე პირველი წრიდან გამოვარდა.

კარიერის ბოლო წლების ჩაგდების მიუხედავად, მამადლი აზერბაიჯანში დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ამასთან დაკავშირებით კულუარებში ერთი საინტერესო ამბავიც ვრცელდება – როცა აზერბაიჯანის ნაკრების სათავეში **პეტერ ზაიზენბახერი** მივიდა, მან ჩვეულებისამებრ მძიმედ დატვირთა შეგირდები. მათ შორის – მამადლიც, რომელსაც ტიტულის გამო არანაირი შეღავათი არ მისცა. ამან სპორტსმენის უკმაყოფილება გამოიწვია და მწვრთნელს დატვირთვების დაკლება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. ეს უკვე მამადლიმ გააპროტესტა და ვარჯიში იუარა. ეს ამბავი ზაიზენბახერმა ფედერაციის პრეზიდენტ **ფიზული ალაკბაროვს** აცნობა, არ მიჯერებსო, ძიუდოისტმა კი საშველად თურმე... ქვეყნის პრეზიდენტ **ილხამ ალიევს** დაურეკა! თუმცა ამ ამბავში კულუარული მხოლოდ პრეზიდენტებთან სატელეფონო ზარებია, მწვრთნელ-შეგირდის სავარჯიშო კონფლიქტზე კი იქაურ მედიაშიც მრავალჯერ დაიწერა.

მამადლიმ ზემოაღნიშნულ კომენტარს სპორტიდან წასვლის შესახებ ისიც დაამატა, რომ ძიუდოში დარჩენა სურს, ხოლო რას გავაკეთებ სამომავლოდ, ამას ფედერაცია გაცნობებთო. ჰოდა, ალაკბაროვის სამწყსომაც გვაცნობა – ოლიმპიური ჩემპიონი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად იმუშავებს.

ელნურ მამადლი კარიერის განმავლობაში სულ 6 ქართველ სპორტსმენს შეხვედრია: **გრიგოლ შინჯიკაშვილს, ზაზა კედელაშვილს, ლევან ჯახველაძეს, დავით ბოდაველს, გიორგი ბაინდურაშვილს** და **გივი დემეტრაშვილს**. ამათ უმეტესობას ჭაბუკთა ასაკში დაეჭიდა, მაგრამ აბსოლუტური უპირატესობა მოუპოვებია – მისი დამარცხება მხოლოდ ბაინდურაშვილმა შეძლო – 2004 წელს, სოფიაში, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე, სადაც ჩვენებური მესამეზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# გოგონებში მამული და ყვარელი ლიდერობენ

გლდანის ხელბურთის დარბაზში დამთავრდა 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ გოგონათა საქართველოს პირველობის პირველი ეტაპი აღმოსავლეთ ჯგუფში. ხუთი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ორი ტურის შედეგები უკვე გაუწყეთ. დანარჩენი ტურების შეხვედრები ასე დამთავრდა: „პეგასი"-„ქარიშხალა" 19:1, „იმედი"-„ყვარელი" 0:11, „ყვარელი"-„მამული" 26:26, „ქარიშხალა-"„იმედი" 8:19, „მამული"-„პეგასი" 25:21.



ოთხი ტურის შემდეგ

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| მამული | 3 | 1 | 0 | 93:51 | 7 |
| ყვარელი | 3 | 1 | 0 | 78:45 | 7 |
| პეგასი | 2 | 0 | 2 | 72:40 | 4 |
| იმედი | 1 | 0 | 3 | 19:56 | 2 |
| ქარიშხალა | 0 | 0 | 4 | 19:89 | 0 |

ბომბარდირები: **ქეთევან ლვალაძე** („მამული")- 24, **მედეა ჩოხელი** („პეგასი")-20, **ქეთა კუნელაშვილი** (ყვარელი)-20 ბურთი.

9 ოქტომბერს თელავში სტარტს აიღებს 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის აღმოსავლეთის ჯგუფის (გორი, რუსთავი, ლაგოდეხი, ახაშენი, თელავი, ყვარელი) პირველი ტური, რომელიც 13 ოქტომბრამდე გასტანს, ხოლო 15-20 ოქტომბერს შეჯიბრებაში დასავლეთის ჯგუფის გუნდები (ქუთაისი, ფოთი, წყალტუბო, ბათუმი, სამტრედია, ზუგდიდი) ჩაებმებიან. მათს ორთაბრძოლებს სენაკი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

# ქართველებს მხარდაჭერას შეჰპირდნენ

ამას წინათ რიგაში (ლატვია) ევროპის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ჟან ბრიოს** (საფრანგეთი) და გენერალურ მდივან **მიხაელ ვიდერერის** (ავსტრია) ორგანიზებითა და უშუალო მონაწილეობით გაიმართა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი) ხელბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა სემინარი. საქართველოდან მასში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე** და გენერალური მდივანი **ქეთევან კობერიძე** მონაწილეობდნენ.

როგორც ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, ბალტიისპირულ თავყრილობაზე უპირველესად 2015 წელს თბილისში გასამართავ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს შეეხნენ. გადაწყდა, რომ სახელბურთო ტურნირისთვის ქართველი მომსახურე პერსონალის მომზადება 2014 წლიდან დაიწყება. ევროპის ხელბურთის ფედერაცია ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად მოაწყობს სემინარებს მწვრთნელთა მომზადება-სერტიფიცირებასთან დაკავშირებით.

რიგის შეხვედრის მონაწილენი შეეხნენ კონტინენტის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოასპარეზე გუნდების 20 ან 24-მდე გაზრდას. ევროპის ხელბურთის ფედერაციას არ სურს, დასკვნით რაუნდში განსხვავებული დონის გუნდების თავმოყრით ტურნირის გაფერმკრთალება. იმსჯელეს მე-2 დონის ტურნირის მოწყობაზე, რომელშიც ის გუნდები იასპარეზებენ, რომლებიც 16 უძლიერესში ვერ მოხვდებიან.

30 ოქტომბერს სტარტს აიღებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველოს ნაკრები ლიტვასთან სტუმრად ითამაშებს. ბელარუსის ფედერაციასთან შეთანხმებით, ამ ორთაბრძოლის წინ ჩვენი ხელბურთელები ბალტიისპირეთში სლავებთან ორ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

27 ოქტომბერს დოჰაში (ყატარი) ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელზეც 2017 წლის 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპის მასპინძლობის საკითხიც განიხილება (ამ უფლების მოსაპოვებლად საქართველო და ხორვატია იბრძვიან) რიგის სემინარის მონაწილენი ჩვენი ქვეყნის ხელბურთის ფედერაციას მხარდაჭერას შეჰპირდნენ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მედლის შანსი სამეულს შერჩა

ბუდვაში (ჩერნოგორია) დღეს დამთავრდება 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს 27 წარმომადგენელი მონაწილეობს. გუშინ მე-8 ტურში მათი პარტიები ასე დასრულდა:

**8-წლიანები.** ემა ობადა (რუმინეთი)-**ლილე გუმბერიძე** 1:0, ალისა ლუკიანჩენკო (რუსეთი)-**თამარ თასოშვილი** 1:0, **დიანა ლომაია**-ანასტასია კიდლო( რუსეთი) 1:0; **დავით სიბაშვილი**-სტეფან ზაიარსკი (მოლდოვა) 1:0, **ლევან დალბაშვილი**-არტიომს ვისარიონოვსი (ლატვია) 0:1, მიხაილ ცეიტლინი რუსეთი)-**გიორგი ლომინაძე** 0:1.

**10-წლიანები.** მალაკ ისმაილი (აზერბაიჯანი)-**თამარ ესაძე** 0:1; ორ გლობასი (ისრაელი)-**ნიკოლოზ კაჭარავა** 0.5:0.5, ახმეტ უზუმჩუ (თურქეთი)-**აკაკი ლაჭავა** 1:0, **ნიკა კევლიშვილი**-ვიქტორ ჰუე (საფრანგეთი) 1:0.

**12-წლიანები.** **ელენე კოსტავა**-ანასტასი აზოტროვა (რუსეთი) 0,5:0,5, ილაიდა კარგიოღლუ (თურქეთი)-**ლილე ქორიძე** 1:0, ანდრეა-დენისა ბუკური (რუმინეთი)-**სალომე სანიკიძე** 0:1; **ნიკოლოზ პეტრიაშვილი**-პაულიუს პიტინევიჩიუსი (ლიტვა) 0:1, დმიტრი ბორისოვსკი (რუსეთი)-**ლუკა ობოლაძე** 1:0, სერგეი სნეგირიოვი (რუსეთი)-**მათე თოდაშვილი** 1:0.

**14-წლიანები.** მატილდე ჩანგი (ჩერნოგორია)-**თეა ჭოლაძე** 1:0. მარია მილოვანოვა (რუსეთი)-**ნინო ჯალალონია** 1:0; **გიორგი თავზარაშვილი**-რიჯად ბაროვიჩი (ბოსნია) 1:0.

**16-წლიანები.** ირინა ჩუპროვა (რუსეთი)-**მარიამ ჭოლაძე** 0:1, პერე გარიგა (ესპანეთი)-**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0,5:0,5, დმიტრი მაქსიმოვი (რუსეთი)-**გიორგი სიბაშვილი** 1:0.

**18-წლიანები.** **ნატო იმნაძე**-მარსელ ეფროიმსკი (ისრაელი) 0:1, **ანა კუჭავა**-ლიდია ტომნიკოვა (რუსეთი) 1:0, ირინა ბარაევა (რუსეთი)-**ანა შამათავა** 1:0; ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი)-**ირაკლი ბერაძე** 1:0, **ალექსანდრე ებრალიძე** — პაველ მარტინოვი (რუსეთი) 1:0.

ბოლო ტურის წინ ქართველთაგან მედლების მოპოვების შანსი მხოლოდ სამ მოჭადრაკეს შერჩა: 18-წლიანებში ანა კუჭავამ გაიმარჯვა და ქულებით (6-6) ანასტასია ზიაზიულკინას (ბელარუსი) და ეფროიმსკის გაუთანაბრდა. დღეს შავებით ზიაზიულკინასთან გაარკვევს ურთიერთობას. ეფროიმსკი მარია ტანციურას (უკრაინა) შეხვდება. ამ უკანასკნელის გარდა, 5,5 ქულა კიდევ 6 მოჭადრაკეს, მათ შორის - იმნაძეს, აქვს და ისინი მედლის მოპოვების შანსს ინარჩუნებენ. ამ ასაკის ვაჟებში 7 ქულით ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი) ლიდერობს. ბოლო ტურში იგი გაბუზიანს (6,5) ეთამაშება. 7 მოჭადრაკე (ბერაძეც) 6-ქულიანია. ჩვენებური დენის კარდიჩს (ბოსნია) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# ავსტრიაში მოემზადებიან

საქართველოს სამთო მოთხილამურეებმა ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეს, რადგან პირველი დიდი შეჯიბრება - გიგანტურ სლალომში მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი ავსტრიულ კურორტ ზოლდენში ელით.

საქართველოს როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული ნაკრების წევრები 10 ოქტომბერს ავსტრიის კურორტ ჰინტერტუქსში გაემგზავრებიან სავარჯიშოდ, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხის საუკეთესო მოთხილამურეები მთელი წლის განმავლობაში იმალლებენ ოსტატობას. საქართველოს სამთო-სათხილამურო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ნაკრებთან ერთად ჰინტერტუქსში სნოუბორდელი **რევაზ ნაზლაიძეც** წავა, რომ საერთაშორისო ტურნირებისთვის სარეიტინგო ქულები მოაგროვოს.

ავსტრიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით, ჩვენი მოთხილამურეები და ზამთრის სახეობათა ფედერაციის წარმომადგენლები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანს** შეხვდნენ. იქვე გაირკვა, რომ ჩვენები ავსტრიაში 30 ოქტომბრამდე დარჩებიან, ნოემბრიდან კი საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) შეჯიბრებებში ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

სამბო

# სოსო ლიპარტელიანი FIAS-ს გააკონტროლებს

## მეამბოხე წევრებს რუსეთიდან შეუწყდათ უფლებამოსილება FIAS-ის აღმასრულებელ კომიტეტში...

ჭიდაობა სამბოს საერთაშორისო ფედერაციის (FIAS) 25-ე საიუბილეო საარჩევნო კონგრესს სანკტ-პეტერბურგში 96 ნაციონალური ფედერაციის, 207 დელეგატი დაესწრო.

მეორე ვადით FIAS-ის პრეზიდენტად კონგრესმა კვლავ **ვასილი შესტაკოვი** აირჩია.

კონგრესისადმი ინტერესი იმანაც გაზარდა, რომ ამ არჩევნებს წინ უძღვოდა არაერთი სკანდალი FIAS-ის გარშემო.

სანკტ-პეტერბურგში საერთაშორისო ფედერაციის მეამბოხე წევრებს: მიხეილ შულცს, დავით რუდმანს, ნიკალაი ლენცს და ფალიდინ პულატოვს, შეუწყდათ უფლებამოსილება FIAS-ის აღმასრულებელ კომიტეტში...



სოსო ლიპარტელიანი

ხუთივე კონტინენტის სამბოს ოჯახის წევრებმა მხარი დაუჭირეს ახალი წევრების ნიკარაგუას, სეიშელის კუნძულების, სინგაპურის, გვატემალას, ტრინადას, სალვადორის, ტობაგოს... მიღებას FIAS-ის წევრებად.

კონგრესმა წარმოადგინა სამბოს უახლოესი კალენდარი, სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და ოლიმპიურ თამაშებში გაწევრიანების პერსპექტივა. სხვა საინტერესო საკითხებიც განიხილეს. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე კარგი საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, კონგრესის დელეგატის, **სოსო ლიპარტელიანის** არჩევა იყო სამბოს უმაღლეს ორგანოს - FIAS-ის შემადგენლობაში.

სამბოს არსებობის 75 წლის განმავლობაში საქართველოდან იქ არავის უმოლვაწია...

საქართველოს სამბოს თავკაცი 25-ე კონგრესზე აირჩიეს სამბოს საერთაშორისო ფედერაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. მისი მოადგილეები არიან კოლუმბიისა და მონღოლეთის სამბოს პრეზიდენტები...

ცოტა რამ სოსო ლიპარტელიანზე: დაიბადა 1971 წლის 3 თებერვალს ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში.

ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი - ძიუდოში. მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი - სამბოში. იყო საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. 2012 წლის 30 მარტიდან კი სათავეში უდგას საქართველოს სამბოს ფედერაციას.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ყინულის ჰოკეი





# პირველად ქუთაისში

ოლიმპიზმისა და სპორტის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ქუთაისისათვის უჩვეულო სპორტული სანახაობა გაიმართა ყინულის მოედანზე, სადაც საჩვენებელი მატჩი ჩაატარეს ჰოკეიში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა. „რუხი მგლებისა" და „ყინულის რაინდების" ამხანაგურ დაპირისპირებას 300-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. თამაშის დაწყებამდე და შესვენებებს შორის ყინულის სასახლის აღსაზრდელი მოციგურავეები შეკრებილთ საჩვენებელი გამოსვლებით ართობდნენ. ამხანაგური შეხვედრა „ყინულის რაინდების გამარჯვებით 8:6 დასრულდა. ადგილობრივი მაყურებლები სანახაობით კმაყოფილი დარჩნენ. ყინულის ჰოკეიში ქუთაისში ჩატარებული პირველი მატჩი შესაძლოა რიონისპირა ქალაქში სპორტის ამ სახეობის დაფუძნების საწინდარად იქცეს.

**დავით პოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ოლიმპიზმი



# საქართველოს მთავრობის განცხადება




ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს ოკუპაციის ფონზე სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება, უკიდურესად რთული მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით გამოხატა კეთილი ნება და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანამიმდევრული მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე.

ვთვლიდით და ახლაც ვთვლით, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამ რთულ გზაზე კი აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომლებიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ასევე ნაკლებად უკავშირდება საქართველო-რუსეთის ძირითად პრობლემებს. ასეთებად ჩვენ მივიჩნევთ კულტურას, ვაჭრობას, ტურიზმსა და სპორტს.

სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნება ჯერ კიდევ ვერ ან არ არის სათანადოდ შეფასებული და შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციები. მაშინ, როდესაც ჩვენი სურვილია ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და მონაწილეობის მიღება ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებაში, რადგან ოლიმპიური იდეა სწორედ მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება, მეორე მხარე სწორედ პოლიტიკური მიზნებისათვის ცდილობს მის გამოყენებას.

სხვა ვერაფრით აიხსნება მაგალითად ის, რომ ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთმა შეარჩია „2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი". ცხადია, ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა თავად აირჩიოს გმირები, მაგრამ ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი ქვეყანა ასე გამომწვევად არ მოიქცევა.

საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა არც ის რჩება, რომ სოჭის ოლიმპიადასა და საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით მწვავდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან - პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამავე დროს საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ერთგულია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების არჩეული - თანამიმდევრული კურსის.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ღონისძიებებს. თუ საქართველო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების მთავრობები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს.

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ბიძინას საჩუქარი ბიძინაობაზე

ახმეტაში **ბიძინა ჩოლოყაშვილის** ხსენების დღეს ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავენ, ამ დღეს (1 ოქტომბერს) დიდი ხანია იმართება სხვადასხვა ღონისძიება მათ შორის სპორტული. წლეულს „ბიძინაობა" 6 ოქტომბერს გაიმართა. სახალხო დღესასწაულზე ახმეტელებმა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ერთობლივი პროექტით ძვირფასი საჩუქარი - ახალი ღია საჭიდაო არენა მიიღეს და დიდადაც გაიხარეს. შეჯიბრებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, მათ შორის ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი, ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური.** „ვულოცავ ახმეტელებს ახალი საჭიდაო არენის გახსნას. დღეს დიდი გმირების ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღეა და ნახერხმოყრილ სარბიელზე მიმდინარეობს პაექრობა რომელთა შემხედვარეს მახსენდება სიტყვები: „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი"! მინდა აღვნიშნო, რომ მე პირველად ნახერხმოყრილ არენაზე სწორედ ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსოვნის ტურნირზე ვიჭიდავე ბახტრიონზე და მეამაყება, რომ მაშინ გავიმარჯვე კიდეც. მინდა ყველას, ვინც დღეს აქ ასპარეზობს და განსაკუთრებით ახმეტელებს ვუსურვო წარმატება დიდ სპორტში" — თქვა ზურაბ ზვიადაურმა. მაყურებელს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **გელა ბერუაშვილმაც** მიმართა. „ახმეტას ჰყავს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები საჭიდაო სახეობებში, ჰყავს ფალავნები ქართულ ჭიდაობაში. სიმბოლურია, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ეს საჩუქარი ახმეტელებმა სწორედ „ბიძინაობას" მიიღეს. დარწმუნებული ვარ, რომ ახმეტაში კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჭიდაობა" - თქვა მან. გახსნის შემდეგ ნახერხმოყრილ არენაზე ახალგაზრდებს შორის ღია გუნდური პირველობაც ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი წარსულში ცნობილი ფალავანი **დავით ბაგაური** იყო. შეჯიბრებაზე ლაგოდეხის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ქარელის და ახმეტის ორმა გუნდმა იასპარეზა. ფინალში მასპინძელთა პირველი გუნდი და ქარელი გავიდა. ქარელელებმა ჯერ ახმეტა II დაამარცხეს - 4:2, შემდეგ კი ყვარელი - 4:1. ახმეტა I-მა კი თავის მხრივ პირველ შეხვედრაში მშრალი ანგარიშით 6:0 სძლია დედოფლისწყაროელ თანატოლებს, ფინალში გადასასვლელი კი ლაგოდეხს მოუგო 4:2. გადამწყვეტ პაექრობაში ახმეტა I-ს და ქარელის დაპირისპირება მოულოდნელად 5:1 დასრულდა. მესამე ადგილისათვის შეხვედრაში კი ლაგოდეხმა ყვარელს 4:2 სძლია. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა - **ნიკა ჭიკაიძე, ლადო წითლაური, ვანო ჩურჩხელაშვილი, გოდერძი ფეტვიაშვილი, დავით რამაზაშვილი, ჯაბა მუმლაძე.** მწვრთნელი - **ტარიელ შათირიშვილი.** საუკეთესო სამ გუნდს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ფულადი ჯილდოები გადასცა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შემოდგომისთვის დამახასიათებელი სუსხისა, ქართული ჭიდაობის არენების აშენების – გახსნის და მასზე შეჯიბრებების გამართვის პროცესი არ წყდება და ვიდრე ამინდი საშუალებას მისცემს, ქართული ჭიდაობის ფედერაცია კიდევ გეგმავს ანალოგიურ ღონისძიებებს სხვადასხვა რაიონში. ოქტომბერში ახალი არენების მშენებლობა ყვარელის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საჩხერის და ხაშურის რაიონებში დასრულდება და იქვე მორიგ შეჯიბრებებსაც ვიხილავთ ახალგახსნილ სარბიელებზე.



ეპიზოდი შეჯიბრებიდან

**ვასილ ბალახაძე**
**ახმეტიდან**

## თარიღები და მოვლენები

**08 – 10 ოქტომბერი**

**08. 1954 წ.** ვენაში **რაფაელ ჩიმიშკიანმა** საქართველოდან პირველმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ძალოსნობაში
**08. 2010 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შინ 1:0 მოუგო მალტის ნაკრებს
**09. 1957.** დაიბადა **ვიტალი დარასელია** -ფეხბურთი. ტრაგიკულად დაიღუპა 1982 წლის 13 დეკემბერს
**09. 1965.** დაიბადა **სოსო ჭედია** - ფეხბურთი
**09. 1973.** დაიბადა **ბაკურ გოგიტიძე** - ბ\რ ჭიდაობა
**10. 1964 წ.** ტოკიოში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის XVIII ოლიმპიური თამაშები. საქართველოდან სსრ კავშირის სპორტულ დელეგაციაში შედიოდა 18 სპორტსმენი
**10. 1964.** დაიბადა **გიორგი გიორგაძე** - ჭადრაკი
**10. 1976.** დაიბადა **ლევან ცქიტიშვილი** - ფეხბურთი
**10. 1977.** დაიბადა **ლევან კობიაშვილი** - ფეხბურთი
**10. 1990.** დაიბადა **ლევან ბერიანიძე** - თ\ჭიდაობა
**10. 1991 წ.** სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში ევერესტზე საქართველოდან პირველი ავიდა **რომა გიუტაშვილი**
**10. 1992.** დაიბადა **ჯანო ანანიძე** - ფეხბურთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები ესპანეთში



# მხოლოდ შერმადინი ებრძოდა...

## 18 ქულა ბასკებთან

**ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი შერმადინის** „სარაგოსამ“ ესპანეთის ჩემპიონატის დაწყების წინ ბოლო საკონტროლო თამაში ჩაატარა. არაგონელებმა სან სებასტიანის „გიპუზკოას“ უმასპინძლეს. ეს გუნდი აქამდე „ლაგუნ აროს“ სახელწოდებით გამოდიოდა, რომლის ღირსებასაც ერთი სეზონი **ნიკა ცქიტიშვილი** იცავდა.

„სარაგოსას“ ოფიციალურ ვებ-საიტზე წერია, რომ გუნდიდან მხოლოდ გიორგი შერმადინი იყო მოწოდების სიმაღლეზე, დანარჩენმა სარაგოსელებმა ვერაფერი გააწყვეს „გიპუზკოასთან“ და მატჩი სანსებასტიანელთა სასარგებლოდ დასრულდა - 83:67.

ქართველმა ცენტრმა 22 წუთი ითამაშა, 18 ქულა, 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება მოაგროვა. მან 9-დან 7 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ასეთი შედეგიანობა მარგი ქმედების კოეფიციენტზეც აისახა (15), რომლის მიხედვითაც იგი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო.

ვიქტორ სანიკიძეს არ უთამაშია. იგი ამჟამად თბილისშია, სავიზო საკითხებს მოაგვარებს და ესპანეთში ამ კვირაში გაემგზავრება. „სარაგოსა“ ესპანეთის ჩემპიონატში სეზონის პირველ შეხვედრას 13 ოქტომბერს ჩაატარებს, „ბილბაოს“ ესტუმრება.

დუდუ დადიანის მემორიალი

# შეურაცხყოფა, გაძევება და...

## „არმია“ ფინალში

დუდუ დადიანის მემორიალი სუპერლიგისთვის მოსამზადებელი, ამხანაგური შეჯიბრებაა, თუმცა ჯგუფური ეტაპის ბოლო დღის მიხედვით ვერ ვიტყოდით, რომ საქმე ასეთი ტიპის ტურნირთან გვქონდა. „ოლიმპი“-“არმიას“ შეხვედრის ბოლო წუთებზე არასასიამოვნო, ხმაურიანი ინციდენტი მოხდა, რამაც მატჩის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა.

სირენამდე 2 წუთით ადრე არბიტრმა **ირაკლი ბერიშვილმა რიჩარდ მათიაშვილი** სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მოედნიდან გააძევა, რასაც კალათბურთელის რეაქცია და სიტუაციის დაძაბვა მოჰყვა. არეულობის შემდეგ მსაჯებმა „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი მარხვაშვილიც** გააძევეს.

თამაში **მიხეილ ბერიშვილის** 8 საჯარიმო ტყორცნით გაგრძელდა, 7 ჩააგდო და თანაგუნდელები 9 ქულით დააწინაურა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მემორიალის ფინალში „სოხუმს“ „არმია“ შეხვდება. გადამწყვეტი მატჩი 9 ოქტომბერს 18 საათზე გაიმართება. დღეს, 8 ოქტომბერს მესამე ადგილისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „შსს აკადემია“-“ოლიმპი“ (15 საათზე), მეხუთე ადგილისთვის - „რუსთავი“-“ქუთაისი“ (13 საათზე).

**7 ოქტომბერი**

თბილისი, აკადემიას დარბაზი

**A ჯგუფი**

**შსს აკადემია-ქუთაისი 78:73**

17:22, 21:20, 14:20, 26:11

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი, ჩიკვილაძე (17ქ, 6მ, 3პ), ბოქოლიშვილი (15ქ), ლონდარიძე (13ქ, 7მ, 5პ), კვანტალიანი (6ქ), მირზიაშვილი, ლოლიშვილი, ლომოური (7ქ, 4მ), გელაზონია, როგავა (9ქ, 7მ, 8პ), ტომარაძე (11ქ), ლორთქიფანიძე.

**ქუთაისი:** ფაშაევი (2ქ, 5პ), გრძელიძე (5ქ), დიდია (4ქ, 6მ), ცეკვავა (19ქ), დ. დვალიშვილი, ცირეკიძე (1ქ), დ. ბარბაქაძე (7ქ, 7მ), ლომინაშვილი (6ქ, 4მ), გ. ბარბაქაძე (2ქ), ა. დვალიშვილი (27ქ, 14მ), ქორიძე, გამრეკლიძე.

„ქუთაისს“ მეორე ტურში მომავალი ფინალისტის „სოხუმის“ დასამარცხებლად 3 ქულა დააკლდა. „შსს აკადემიამ“ კი სოხუმელებთან 15 ქულის სხვაობით დათმო. თუნდაც ამ ლოგიკის მიხედვით გუშინდელ შეხვედრაში გამარჯვების მეტი შანსი ქუთაისელებს უნდა ჰქონოდათ.



ოლიმპი-არმია

მათ თამაშის საწყისი 30 წუთი სტაბილურად ჩაატარეს, მესამე მეოთხედის შემდეგ 10 ქულის სხვაობით იგებდნენ და თითქოს შეხვედრა მათთვის ლოგიკურ დასასრულამდეც უნდა მიეყვანათ, მაგრამ „აკადემიური ლოგიკა“ სხვაგვარი გამოდგა: მეოთხე რაუნდი **კოკა ტომარაძის** სამქულიანით გაიხსნა, რომელსაც პერიმეტრიდან **ბექა ჩიკვილაძემ** კარგად აუბა მხარი, სამი სამიანი ჩააგდო და... „შსს აკადემიის“ მიერ მთელი 40 წუთის განმავლობაში რეალიზებული 9 სამქულიანიდან 4 ბოლო პერიოდზე მოვიდა.

მხოლოდ სამქულიანებმა როდი განაპირობა 10 წუთში 26:11 გაქცევა, „შსს აკადემიამ“ ყველა კომპონენტში იყოჩაღა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

ორივე გუნდში სნაიპერები ახალწვეულები გახდნენ: შსს-ში ბექა ჩიკვილაძე (17 ქულა, 3-დან 3 ორქულიანი, 8-დან 3 სამიანი), „ქუთაისში“ - **აკაკი დვალიშვილი** (27 ქულა, 14 მოხსნა, 20-დან 12 ორქულიანი).

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. შსს აკადემია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. ქუთაისი | 2 | 0 | 2 | 2 |

**B ჯგუფი**

**ოლიმპი-არმია 47:55**

19:11, 6:5, 16:18, 6:21

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (6ქ), მიქელაძე (14ქ), თავართქილაძე, გოგოძე, ხანიაშვილი (4ქ), თენიეშვილი (8ქ, 6მ), ათანელიშვილი (1ქ, 8მ), ფხაკაძე, მათიაშვილი (6ქ, 11მ, 4პ), ხიზანიშვილი (2ქ), ლომიძე, ფარლალავა (6ქ).

**არმია:** ბაბუნაშვილი (8ქ), ბაბიაშვილი (10ქ, 6მ), ბოისა, ბერიშვილი (9ქ), ჯანაშია, კვიმსაძე (10ქ), ჯგერენაია, წივწივაძე (12ქ), ტუჯანი (2ქ, 7მ), შარაბიძე (4ქ, 9მ), ჩაჩიბაია, კეიდია.

„ოლიმპსა“ და „არმიას“ შორის გამარჯვებული მემორიალის ფინალში გადიოდა. ასე რომ, ეს მატჩი ნახევარფინალის ტოლფასი იყო. არმიელები დუდუ დადიანის თასის შარშანდელი გამარჯვებულები არიან და წლეულსაც ამ მიზნისკენ მიემართებიან.

სწორედ ნახევარფინალური დატვირთვის გამო მატჩს დაძაბულობა პირველი წუთებიდან ბოლომდე არ მოჰკლებია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სეზონი ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა და გუნდები არასათანადო ფორმაში არიან, არ უნდა გაგვიკვირდეს შეხვედრაში მეტად დაბალი შედეგიანობა.

მატჩის საკვანძო ეპიზოდზე შესავალში დავწერეთ. აქ კი ორ კალათბურთელზე ვიტყვით: მეორე შეხვედრაა ახალგაზრდა **ირაკლი მიქელაძე** გუნდში ბომბარდირობას არ თმობს (14 ქულა). არმიელთაგან კი სნაიპერი **ბექა წივწივაძე** გახდა (12 ქულა), რომელიც მემორიალის შარშანდელი გამარჯვებულიცაა და ორიოდე წლის წინათ ეს თასი „რუსთავთან“ ერთადაც მოიგო.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ოლიმპი | 2 | 1 | 0 | 3 |
| 3. რუსთავი | 2 | 0 | 2 | 2 |



შსს აკადემია-ქუთაისი

ქართველები უკრაინაში



# ქართული დუელის მოლოდინში

**გიორგი ცინცაძის** „დონეცკმა“ ზედიზედ ორი ამხანაგური თამაში ჩაატარა შარშანდელი სეზონის მეორეადგილოსან „აზოვმაშთან“ და ორივეში გაიმარჯვა.

პირველ მატჩში გიორგიმ გუნდის წარმატებაში 16-ქულიანი წვლილი რომ შეიტანა, უკვე მოგახსენეთ. მეორე ცდაზე ცინცაძის მონაგარი ასეთი იყო: 6 ქულა, 5 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა. ბომბარდირი დონეცკელი **მაქკოლი** გახდა - 19 ქულა.

„დონეცკმა“ „აზოვმაშს“ 79:72 სძლია.

უკრაინის ჩემპიონატი 10 ოქტომბერს დაიწყება. პირველივე ტურში ქართული დერბი შედგება - ერთმანეთის წინაშე წარდგებიან გიორგი ცინცაძის „დონეცკი“ და **ლევან ფაცაცია**ს „დნიპრო-აზოტი“. მასპინძელი ლევანი იქნება.

ქართველი ესპანეთში



# კახასოლის ბასკეთით იწყებს

ისევე როგორც „ქართული“ „სარაგოსა“, **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლიც“ ესპანეთის პირველობის სადებიუტო თამაშს ბასკებთან ჩაატარებს. სევილიელები 13 ოქტომბერს სან სებასტიანის „გიპუზკოას“ ესტუმრებიან.

„სარაგოსასთან“ მატჩის შედეგის მიხედვით „გიპუზკოა“ „კახასოლთან“ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა გუნდების რეალური ძალის შესაფასებლად მხოლოდ საკონტროლო თამაშებიდან დასკვნების გამოტანა საკმარისი არ არის.

ასე მაგალითად: „კახასოლმა“ ბოლო ამხანაგური მატჩი „ვალენსიასთან“ დიდი სხვაობით წააგო - 57:98. ძნელი სათქმელია, რომ ამ ორ გუნდს შორის კლასშიც ასეთი თანაფარდობაა.

სევილიელთა შორის ყველაზე მეტი, 14 ქულა **უილიამსმა** ჩააგდო. ბურჯანაძემ მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და 2 ქულა ჩაიწერა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# სამი ქართველი რუმინეთის ჩემპიონია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-9 ტურის შემდეგ სამხელისუფლებიანობაა. 27 ქულა ქართველ მორაგბეთა ერთბაშად სამ გუნდს დაუგროვდა. ესენია: „ტულონი", „მონპელიე" და „ტულუზი". სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში სიმჭიდროვეა და ლიდერთა შორის გარევის შანსი წლეულს ელიტაში დაბრუნებულ „ბრივასაც" გაუჩნდა.**

ლიდერის პოზიცია დაიბრუნა **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა", რომელმაც ნიცაში, ახლახან აშენებულ „ალიანს რივიერაზე" **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" დაამარცხა - 25:19.

პირველი ტაიმის დიდი ნაწილი „ვულკანების" უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებმა ანგარიშში დაწინაურება და მდგომარეობის გამოსწორება 30-ე წუთისთვის მოახერხეს. შესვენების შემდეგ კი ტულონელებმა შეძლეს საკუთარი თამაშის მეტოქეზე თავს მოხვევა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

ზირაქაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავას და მიქაუტაძეს არ უთამაშიათ.

სატურნირო ცხრილში მეორე საფეხურზეა **მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე", რომელმაც შინ დაამარცხა დივიზიონის დებიუტანტი „ოიონაქსი" - 45:20. ამ მატჩშიც, ზემოთ განხილულის მსგავსად, თანაბარი ბრძოლა პირველი 30 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. ამ დროისთვის ტაბლო ფრეს აჩვენებდა - 10:10. მერე, მასპინძლებმა მაქსიმალური სიჩქარეები ჩართეს, მეტოქეს შერკინებაშიც აჯობეს და საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

მონპელიელებმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს, აქედან ორი შუამარბ **ტომა კომბეზუს** ანგარიაშზეა. გორგოძე და ნარიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

ერთი შეხედვით ყველაზე საინტერესო უნდა ყოფილიყო ფრანგული კლასიკო, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზის" დაპირისპირება **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსესთან", რომელიც გათამაშების ლიდერი იყო. ტულუზელებმა თავიდანვე თამაშის ძალზედ მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და პირველი ტაიმი 21:3 მოუგეს. შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა, გუნდებმა თითო-თითო ლელო მიითვალეს და მასპინძლებმა 28:10 გაიმარჯვეს. ქართველ მორაგბეებს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა" სტუმრად ითამაშა კრიზისში მყოფ ბასკურ „ბიარიცთან" და 16:12 დაამარცხა. შეხვედრა ძალზედ დაძაბული გამოდგა. მატჩის პირველი ნახევარი ფრედ 6:6 დასრულდა. შესვენების შემდეგ კატალონიელებმა უფრო ნაკლები შეცდომა დაუშვეს და გაიმარჯვეს კიდეც. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

**გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივმა", შეიძლება ითქვას, რომ სენსაციური ანგარიშით დაამარცხა შინ საფრანგეთის მოქმედი ჩემპიონი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" - 34:0. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, რომელიც 29:0 მოიგეს.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო 44-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი მოედანზე 53-ე წუთიდან გამოჩნდა, შველიძე ტრავმირებულია.

**დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგმა" შინ მოულოდნელად წააგო „გრენობლთან" - 20:22. გამარჯვებას „ალპელებმა" მატჩის ბოლო წუთზე მიაღწიეს, როცა მეტოქეს საჯარიმო გაუტანეს და ერთქულიანი ჩამორჩენის ნაცვლად ორი ქულით დაწინაურდნენ. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

**I დივიზიონი**

**IX ტური**

ბიარიცი-პერპინიანი 12:16, ტულონი-კლერმონი 25:19, ბრივი-კასტრი 34:0, ბორდო-ბაიონი 34;6, მონპელიე-ოიონაქსი 45:20, მეტრო რასინგი-გრენობლი 20:22, ტულუზი-სტად ფრანსე 28:10.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 27 ქულა, 2. მონპელიე - 27, 3. ტულუზი - 27, 4. სტად ფრანსე - 26, 5. კლერმონი - 25, 6. პერპინიანი - 24, 7. გრენობლი - 23, 8. ბრივი - 22, 9. მეტრო რასინგი - 22, 10. ბორდო - 21, 11. კასტრი - 20, 12. ოიონაქსი - 17, 13. ბაიონი - 16, 14. ბიარიცი - 8.

**X ტური**

ტულუზი-ტულონი, ბაიონი-მონპელიე, კასტრი-ბაირიცი, გრენობლი-ოიონაქსი, პერპინიანი-ბორდო, კლერმონი-ბრივი, მეტრო რასინგი-სტად ფრანსე.

კელტურ ლიგაში მორიგი მარცხი იწვნია საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა". ჩვენებურის გუნდმა, რომელიც აუტსაიდერია, სტუმრად წააგო უელსში „კარდიფ ბლუზთან" - 12:29. ბასილაიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**კელტური ლიგა**

**V ტური**

ოსფრიზი-ალსტერი 12:18, ნიუპორტი-ზებრე 30:7, ბენეტონი-ქონოთი 23:3, ჰლანეჰლი-გლაზგო 12:17, მანსტერი-ლენსტერი 19:15, კარდიფი-ედინბურგი 29:12.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლაზგო - 20 ქულა, 2. მანსტერი - 18, 3. ოსფრიზი - 17, 4. ალსტერი - 15, 5. ლენსტერი - 14, 6. ნიუპორტი - 13, 7. კარდიფი - 10, 8. ჰლანეჰლი - 10, 9. ბენეტონი - 9, 10. ზებრე - 5, 11. ქონოთი - 4, 12. ედინბურგი - 4.

**VI ტური**

ედინბურგი-ბენეტონი, გლაზგო-მანსტერი, ლენსტერი-ქონოთი, ოსფრიზი-ნიუპორტი, ალსტერი-კარდიფი, ზებრე-ჰლანეჰლი.

რუმინეთის ჩემპიონატი ქართველი მორაგბეების, **ბიძინა სამხარაძის, გიორგი ხოსიტაშვილისა** და **ოთარ ტურაშვილის** „ტიმიშოარას" ტრიუმფით დასრულდა. ჩვენებურთა ამ გუნდმა ფინალში დაამარცხა „ბაია მარე" - 25:19 და ზედიზედ მეორედ გახდა ვლახეთში საუკეთესო. ფინალურ მატჩში მხოლოდ ტურაშვილმა ითამაშა. სამხარაძე და ხოსიტაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში **მამუკა ნინიძის** „ფარული" ბუქარესტის „სტიაუასთან" დამარცხდა - 14:25.

**რუმინეთი**

**III ადგილი**

| | |
|---|---|
| ფარული-სტიაუა | 14:25 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ტიმიშოარა-ბაია მარე | 25:19 |

**ბესიკ ჯანგავაძე**




ტიმიშოარა

საქართველოს ჩემპიონატი



არმია-ჯიქები

# საუკეთესო შვიდეული

**საქართველოს ჩემპიონატში მეხუთე ტურის ბატალიები მიილია და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ტურის ცენტრალურ მატჩს ქუთაისი მასპინძლობდა, თუმცა თბილისსა და ბოლნისში გამართულმა უაღრესად საინტერესო დაპირისპირებებმაც არ დატოვა გულგრილი სტადიონზე მისული გულშემატკივარი. წარმოგიდგენთ გასული ტურის შვიდ საუკეთესო მოვლენას.**

## „ყოჩების" მშვენიერი სტარტი

ბოლნისის „ყოჩების" ხელმძღვანელებმა სარაგბო სეზონის სტარტზე სატრანსფერო ბაზარზე მშვენივრად იმუშავეს და რამდენიმე მაღალი დონის მორაგბესთან გააფორმეს კონტრაქტი, რამაც დადებითი შედეგი მალევე მოიტანა. განვლილი ხუთი ტურის შემდეგ „ყოჩები" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე არიან.

ბოლნისელთა წარმატების ერთ-ერთ მთავარ საიდუმლოდ შეხვედრის საწყისი წუთების მაღალ დონეზე ჩატარებაა. ისინი ტრადიციულად საკმაოდ მაღალ ტემპს სთავაზობენ მოწინააღმდეგეს და მალევე ეუფლებიან სათამაშო უპირატესობას. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც: „ყოჩებმა" მიმდინარე ჩემპიონატში „ჯიქებს" მე-13 წუთზე გაუტანეს ლელო, „აკადემიას" მე-16, „არმაზს" კი, ერთი წუთის დაგვიანებით. ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსთავის „ხარებთან" დაპირისპირებისას მომხდარი ფაქტი: **სანდრო ესაკიას** შეგირდებმა მატჩის მეორე და მეოთხე წუთებზე დაალელოვეს მეტოქე და სოლიდური 14-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რამაც საბოლოოდ გადამწყვეტი როლიც ითამაშა მათ გამარჯვებაში.

## ქუთათურთა მრისხანე უკანა ხაზი

საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ" სეზონის წინ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, როდესაც აქტიური მოთამაშის სტატუსით გამოაკლდა უნივერსალი **ბესიკ ხამაშურიძე**. მიუხედავად ამისა, ქუთათურები მიმდინარე ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ, გაშლილ და ლაღ რაგბის თამაშობენ. მათი დამრტყმელი ძალა ძლიერი უკანა ხაზი გახლავთ, რომელიც წამიერად გადადის დაცვიდან შეტევაში და არაერთი ლელო გააქვს კონტრშეტევებზე. გასული 5 ტურის განმავლობაში „აიამ" 10 ლელოს გატანა მოახერხა. აქედან 9 შემთხვევაში თავი სწორედ უკანა ხაზმა გამოიჩინა (გიორგი ფრუიძე (2), დავით ლოსაბერიძე (2), გიორგი აბრამიძე (2), სერგო კვერნაძე, თემურ თუთბერიძე, ზურაბ ძნელაძე).

ქართული რაგბი ძირითადად მორკინალთა ძალისმიერ თამაშსა და მათ მიერ მოპოვებული უპირატესობის გამოყენებასთან ასოცირდება, ნამდვილად მისასალმებელია „აიას" სამწვრთნელო შტაბის განსხვავებული ხედვა, რომელსაც უდიდესი მოწონება ახლავს გულშემატკივართა მხრიდანაც და წარმატებაც თან სდევს.

## ბრძოლა გადარჩენისთვის

საიდუმლო ნამდვილად არ გახლავთ ის ფაქტი, რომ „აკადემია" და „ბათუმი" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვიან და ისინი პლეი ოფის საგზურებზე პრეტენზიას არ გამოთქვამენ.

ამ გუნდების თბილისური დაპირისპირება უშელავათო ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებულის ბედიც დრამატულად, ბოლო წუთებზე გადაწყდა. 69-ე წუთისთვის აკადემიელები ექვს ქულას აგებდნენ და თითქოს შველაც არსაიდან ჩანდა. გადამწყვეტ მომენტში ლიდერობა საკუთარ თავზე **შალვა დავითაშვილმა** აიღო, რომელმაც უკანასკნელ 12 წუთში ოთხი საჯარიმო დარტყმა გაუტანა მეტოქეს ერთმანეთზე რთული'პოზიციებიდან და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოაპოვებინა.

## არადამაჯერებელი „არმია"

„არმიას" ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაც სამართლიანად მიიჩნევა. თუმცა **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** გუნდი ჯერჯერობით საკმაოდ მძიმედ გამოიყურება და დაუგეგმავ ქულებსაც უხვად კარგავს. მეოთხე ტურში, „ლოკომოტივთან" მწარე მარცხის შემდეგ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს „არმიას" არ უნდა გაჭირვებოდა ახალგაზრდა მორაგბეებით დაკომპლექტებული „ჯიქების" დამარცხება. თუმცა გუნდმა მხოლოდ ფრეს მიაღწია და სატურნირო ცხრილში 11 ქულით მისთვის შეუფერებელ მეექვსე ადგილზეა.

## ირაკლი ყიასაშვილის 15 ქულა

მეხუთე ტურის ცენტრალურ მატჩში, თბილისურ დერბიში მოქმედი ჩემპიონი „ლელო" „ლოკომოტივს" დაუპირისპირდა და უმძიმეს ბრძოლაში გაიმარჯვა - 20:14, რამაც საშუალება მისცა **ლევან მაისაშვილის** გუნდს სატურნირო ცხრილის სათავეში ადგილი შეენარჩუნებინა. ასეთი დონის შეხვედრებში ხშირად გადამწყვეტი კონკრეტული მოთამაშის ინდივიდუალური ოსტატობა ხდება ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც: „ლელოს" ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** თავისი გააზრებული თამაშით უდიდესი პრობლემები შეუქმნა რკინიგზელებს, საკუთარ გუნდს კი ერთბაშად 15 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ორი საჯარიმო და ორი გარდასახვა) და მატჩის გმირი გახდა.

## სადავო გადაწყვეტილება

**გიორგი ამირხანაშვილის** გაწვრთნილი "ჯიქები" თავდადებულ თამაშს და ფავორიტებისთვის დაუგეგმავი ქულების ართმევას განაგრძობს. "არმიასთან" დაპირისპირების ბოლო წუთი მიმდინარეობდა, "ჯიქები" მეტოქეს 3 ქულით ჩამორჩებოდნენ, სამაგიეროდ ორკაციანი უპირატესობაც გააჩნდათ. მორკინალებმა რაქში აქტიური თამაშის ხარჯზე მორიგი საჯარიმო მოიპოვეს, სწრაფად გათამაშების და ხელდახელ შეტევის შემთხვევაში საკმაოდ დიდი იყო ლელოს გატანის და კიდევ ერთი სენსაციური შედეგის დაფიქსირების შანსი, თუმცა "ჯიქების" სამწვრთნელო შტაბმა არ გარისკა და კარში დარტყმა გადაწყვიტა, რომელიც **ნუგზარ გიორგაძემ** გაიტანა და მიმდინარე ჩემპიონატში მეორე ფრე დააფიქსირა საკუთარი გუნდისათვის - 18:18.

## ლევან გოგოლაშვილი

„ყოჩების" გარემარბი **ლევან გოგოლაშვილი** მშვენიერ სპორტულ ფორმაშია. მან ორიოდე კვირის წინ საქართველოს შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობაში კარგად იასპარეზა და ლომის წილი დაიდო გუნდის წარმატებაში, ამჯერად კი საკლუბო დონეზეც გამოიჩინა თავი. რუსთავის "ხარებთან" დაპირისპირებისას იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მან თავისი მიღებული არაორდინალური გადაწყვეტილებებით და ცრუ მოძრაობებით დიდი თავსატეხი გაუჩინა რუსთაველებს და შეხვედრის სტარტზევე ერთმანეთზე უკეთესი ორი ლელო გაიტანა, რაც ნამდვილად ანიჭებს მას მატჩის საუკეთესო მოთამაშის სტატუსს.

**გიორგი ბარბაქაძე**

● ჩოგბურთი. რეიტინგები


რაფაელ ნადალი

# ოფიციალურად: ნადალი პირველია

პეკინის ტურნირის ფინალში გასვლის წყალობით, ესპანელმა რაფაელ ნადალმა დაიბრუნა მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველი პოზიცია. გუშინ გამოქვეყნებული კლასიფიკაციის თანახმად, ნადალი 40 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ სერბს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. მესამე პოზიცია შეინარჩუნა ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**.

გასულ კვირას ტოკიოს ტურნირის ტრიუმფატორმა, არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** რეიტინგში ორი ადგილით წინ წაწევა შეძლო და მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა. სამხრეთამერიკელმა გაუსწრო ჩეხ **ტომაშ ბერდიხსა** და შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**.

■ ■ ■

იმავე პეკინში გამარჯვების შემდეგ, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** გაიმყარა ლიდერობა WTA-ის კლასიფიკაციაში. ის შარშან არ თამაშობდა ამ ტურნირში და მოგებისთვის 1000 ქულა მიიღო, ხოლო შარშანდელმა ჩემპიონმა **ვიქტორია აზარენკამ** პირველივე წრე წააგო, შესაბამისად, 1000 ქულა დაკარგა. ახლა, ამერიკელსა და ბელარუსს შორის სხვაობამ თითქმის 5 ათას ქულას მიაღწია.

პეკინის ტურნირის ფინალისტმა **ელენა იანკოვიჩმა** ამ კვირას კლასიფიკაციაში საუკეთესო ათეულში დაბრუნება შეძლო.

| ATP | |
|---|---|
| 1(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 11 160 |
| 2(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 120 |
| 3(3). ენდი მარეი (ბრიტ) | 6 895 |
| 4(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 710 |
| 5(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 925 |
| 6(5). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 610 |
| 7(6). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 515 |
| 8(9). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 3 150 |
| 9(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 115 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 3 095 |
| 11(11). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 815 |
| 12(12). ტომი ჰაასი (გერ) | 2 355 |
| 13(16). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 115 |
| 14(14). ჟილ სიმონი (საფ) | 2 095 |
| 15(15). იერჟი იანოვიჩი (პოლ) | 2 060 |
| 16(17). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 030 |
| 17(19). ფაბიო ფონინი (იტა) | 1 885 |
| 18(13). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 840 |
| 19(18). ტომი რობრედო (ესპ) | 1 830 |
| 20(21). კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 1 775 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 13 260 |
| 2(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 8 485 |
| 3(3). მარია შარაპოვა (რუს) | 6 941 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 6 195 |
| 5(5). ნა ლი (ჩინ) | 5 365 |
| 6(6). სარა ერანი (იტა) | 4 435 |
| 7(7). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 315 |
| 8(11). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 860 |
| 9(8). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 845 |
| 10(9). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 645 |
| 11(12). რობერტა ვინჩი (იტა) | 3 195 |
| 12(13). სლოუნ სტივენსი (აშშ) | 3 185 |
| 13(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 172 |
| 14(16). საბინ ლისიცკი (გერ) | 2 830 |
| 15(18). მარია კირილენკო (რუს) | 2 755 |
| 16(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 715 |
| 17(17). სიმონა ჰალეპი (რუმ) | 2 685 |
| 18(15). კარლა სუარეს ნავარო (ესპ) | 2 665 |
| 19(19). კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) | 2 571 |
| 20(20). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 445 |

| ATP. ფულადი მოგებები | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 700 034 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 7 824 672 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 416 221 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპ) | 3 253 790 |
| 5. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 685 611 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 2 196 678 |
| 7. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 035 178 |
| 8. რიშარ გასკე (საფ) | 2 017 388 |
| 9. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 925 336 |
| 10. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 514 164 |
| 11. მილოშ რაონიჩი (კან) | 1 424 251 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 1 367 293 |
| 12. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 1 367 293 |
| 14. ტომი ჰაასი (გერ) | 1 339 987 |
| 15. ფაბიო ფონინი (იტა) | 1 319 824 |
| 16. მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 271 269 |
| 17. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 253 651 |
| 18. იერჟი იანოვიჩი (პოლ) | 1 234 273 |
| 19. ტომი რობრედო (ესპ) | 1 189 343 |
| 20. ჯონ ისნერი (აშშ) | 1 146 360 |

| WTA. ფულადი მოგებები | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 9 940 572 |
| 2. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 822 165 |
| 3. მარია შარაპოვა (რუს) | 3 544 222 |
| 4. ნა ლი (ჩინ) | 2 892 485 |
| 5. მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 890 132 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2 458 332 |
| 7. სარა ერანი (იტა) | 2 291 492 |
| 8. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 2 101 974 |
| 9. რობერტა ვინჩი (იტა) | 1 881 463 |
| 10. საბინ ლისიცკი (გერ) | 1 735 308 |
| 11. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 718 849 |
| 12. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 458 745 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 1 428 418 |
| 14. სლოუნ სტივენსი (აშშ) | 1 426 608 |
| 15. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 1 374 358 |
| 16. კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) | 1 136 947 |
| 17. კ. სუარეს ნავარო (ესპ) | 1 122 689 |
| 18. ელენა ვესნინა (რუს) | 1 113 119 |
| 19. ფლავია პენეტა (იტა) | 1 083 071 |
| 20. მარია კირილენკო (რუს) | 970 779 |

● ჩოგბურთი

# ფერერის ლონდონში მიდის

გაირკვა ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე. ეს გახლავთ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ესპანელი **დავიდ ფერერი**.

*"ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ კარიერაში მეხუთედ მოვიპოვე წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება. სეზონის დასაწყისში ყოველთვის არის ერთი მიზანი - ლონდონში გამგზავრება, ამიტომაც, როცა საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის ხვდები, ეს ნიშნავს, რომ წელი წარმატებული გამოდგა"*, - ამბობს ესპანელი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.


დავიდ ფერერი

მიმდინარე სეზონში ფერერმა ორი ტიტული მოიგო - ოკლენდსა და ბუენოს აირესში, აგრეთვე კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში. როლან გაროსის გადამწყვეტ მატჩში დავიდმა **რაფაელ ნადალთან** წააგო.

საინტერესოა, რომ ამ კვირას მიმდინარე შანხაის მასტერსის შედეგების მიუხედავად, ფერერი რეიტინგში გადაასწრებს **ენდი მარეის** და მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდება. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელი ტრავმის გამო არ თამაშობს ჩინეთის ტურნირზე.

# ჯოკოვიჩი სამართალს ითხოვს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ხელი მოაწერა პეტიციას, რათა დაარწმუნოს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია სერბი ჩოგბურთელის **ვიქტორ ტროიცკის** უდანაშაულობაში. შეგახსენებთ, რომ ტროიცკი 18 თვით არის დისკვალიფიცირებული დოპინგ-ტესტის დროს სისხლის ანალიზის ჩაბარებაზე უარის გამო. ეს პეტიცია, აგრეთვე, ითვალისწინებს დოპინგ-სინჯის ჩაბარების წესის შეცვლას. ამ დოკუმენტზე ხელის მოწერას აპირებს ATP-ის რეიტინგის TOP50-ის ყველა წევრი.


ჯოკოვიჩი და ტროიცკი

*"ყველაფერი, რაც ახლა ტროიცკის თავს ხდება, უდიდესი უსამართლობაა*, - ამბობს სერბული ჩოგბურთის ლიდერი. - *მე ის უდანაშაულოდ მიმაჩნია, რადგან არ გამოუჭერიათ დადებით დოპინგ-სინჯში. მას იმაში ადანაშაულებენ, რომ საჭირო დღეს ვერ შეძლო სისხლის ანალიზის ჩაბარება. მე მას რვა წლის ასაკიდან ვიცნობ და ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. მცირე ეჭვიც არ მეპარება მის უდანაშაულობაში. იმედია, რომ სიტუაცია მის სასარგებლოდ გადაწყდება და ტროიცკის თამაშის საშუალება მიეცემა. სულ მალე ველოდებით მას გუნდთან ერთად დევისის თასის ფინალში"*.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პირველი განთავისუფლებული

ხუთი დღეა რაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო და უკვე ერთ გუნდში გაანთავისუფლეს მთავარი მწვრთნელი. კერძოდ, "ფილადელფია ფლაიერზიდან" დაითხოვეს ამერიკელი სპეციალისტი **პიტერ ლავიოლეტი**.

"მფრინავებმა" ჩააგდეს სეზონის სტარტი - პირველ სამ მატჩში ყველა წააგეს. გუშინ, "ფილადელფია" "კაროლინა ჰარიკეინზთან" დამარცხდა და კონფერენციაში ბოლო ადგილამდე დაქვეითდა. სწორედ ამ მატჩის შემდეგ გამოცხადდა ლავიოლეტის გადაყენების შესახებ. დროებით მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელი იქნება **კრეიგ ბერუბი**, - იტყობინება NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი.

პიტერ ლავიოლეტი გუნდს 2009 წლიდან ხელმძღვანელობს. ამერიკელ სპეციალისტთან ერთად "ფილადელფიამ" ორჯერ მიაღწია სტენლის თასის მეოთხედფინალამდე და ერთხელ ფინალში ითამაშა.

**კაროლინა-ფილადელფია 2:1**

1:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჰარისონი-1 (მერფი-1, სკინერი-2), 1:1 ლ. შენი-1 (ნიუბერი-1), 2:1 დვორაკი-2 (სკინერი-3).

**ვინიპეგი-ანაჰაიმი 2:3**

2:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლედი-1 (ველერი-1, ენსტრომი-4), 1:1 მ. პერო-2 (სილფვერბერგი-1, ლავჯოი-1), 2:1 ლედი-2 (ველერი-2, ლიტლი-1), 2:2 კოლიანო-1 (ვინიკი-1, ს. კოივუ-1), 2:3 პერი-1.

**კალგარი-ვანკუვერი 4:5 (ო)**

1:1, 1:0: 2:3, 0:1

**გოლები:** 0:1 ბუტი-1 (გარისონი-2, ედლერი-2), 1:1 ჯორდანო-1 (დ. ჯონსი-2, გლენკროსი-1), 2:1 ბეკლუნდი-1 (გალიარდი-2, ჰუდლერი-1), 3:1 მონეჰანი-2 (სტემპნიაკი-2, ო'ბრაიენი-1), 3:2 ჰანსენი-2 (დ. სედინი-3), 3:3 სანტორელი-1 (ჰ. სედინი-5, ჰიგინსი-1), 3:4 ვაისი-1 (რიჩარდსონი-1, ჰამჰუისი-1), 4:4 დ. ჯონსი-2 (ჰუდლერი-2, ბროდი-2), 4:5 სანტორელი-2 (ბიეკსა-1, სტენტონი-1).


პიტერ ლავიოლეტი

● ამბები

კალათბურთი

## ევროთასი დაჯგუფდა

ბარსელონაში გაიმართა 2013-14 წლების სეზონის ევროთასის პირველი ეტაპის წილისყრა. ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც 48 გუნდი რვა ქვეჯგუფში გადანაწილდა:

**A ჯგუფი:** „ნიმბურკი" (ჩეხეთი), „კანტუ" (იტალია), „ლე მანი" (საფრანგეთი), „ოსტენდე" (ბელგია), „ციბონა" (ხორვატია), „არტლანდი" (გერმანია).

**B ჯგუფი:** „ბილბაო" (ესპანეთი), „ცედევიტა" (ხორვატია), „სასარი" (იტალია), „შარლერუა" (ბელგია), „შალონი" (საფრანგეთი), „ოლდენბურგი" (გერმანია).

**C ჯგუფი:** „ვალენსია" (ესპანეთი), „ოლიმპია" (სლოვენია), „ვარეზე" (იტალია), „ვილერბანი" (საფრანგეთი), „ულმი" (გერმანია), „პარიზი" (საფრანგეთი).

**D ჯგუფი:** „ალბა" (გერმანია), „სარაგოსა" (ესპანეთი), „რომა" (იტალია), „დექსია" (ბელგია), „გრაველენი" (საფრანგეთი), „ტელეკომი" (გერმანია).

**E ჯგუფი:** "ხიმკი" (რუსეთი), „ქარსიაქა" (თურქეთი), „ჰაპოელი" ი (ისრაელი), „იგოკეა" (ბოსნია), „ლუკოილი" (ბულგარეთი), „პლოეშტი" (რუმინეთი).

**F ჯგუფი:** „ბუდუჩნოსტი" (ჩერნოგორია), „ნიჟნი ნოვგოროდი" (რუსეთი), „ანკარა" (თურქეთი), პაოკ (საბერძნეთი), „ხიმიკი" (უკრაინა), „ალბა ფეჰარვარი" (უნგრეთი).

**G ჯგუფი:** უნიქს (რუსეთი), „ბანვითი" (თურქეთი), ვეფ რიგა (ლატვია), „მაკაბი" ჰ (ისრაელი), „სკოპიე" (მაკედონია), „კალევი" (ესტონეთი).

**H ჯგუფი:** "სპარტაკი" (რუსეთი), „ბეშიქთაში" (თურქეთი), „პანიონიოსი" (საბერძნეთი), „ნეპტუნასი" (ლიტვა), „რადნიჩკი" (სერბეთი), „ბიზონსი" (ფინეთი).

## რეალს სუპერთასი, ოლიმპიაკოსს საკონტინენტთაშორისო

შარშანდელი ევროლიგის ფინალისტებმა – მადრიდის "რეალმა" და საბერძნეთის "ოლიმპიაკოსმა" ახალ სეზონში პირველი ტიტულები მოიპოვეს.

ევროლიგის მეორე გუნდმა – "რეალმა" ესპანეთის სუპერთასზე დაამარცხა ყველაზე პრინციპული მეტოქე "ბარსელონა". შარშან" მადრიდელები ესპანეთის ჩემპიონები გახდნენ, "ბარსელონამ" კი ქვეყნის თასი მოიგო. სუპერთასი ქალაქ ვიტორიაში გათამაშდა.

**რეალი-ბარსელონა 83:79**

29:21, 17:23, 17:12, 20:23

რ: მიროტიჩი (20), ს. როდრიგესი (18), რ. ფერნანდესი (12).

ბ: ტომიჩი (21), მარსელინიო (17+10 პასი), ლამპე (10).

■ ■ ■

რაც შეეხება ბოლო ორი ევროლიგის ტრიუმფატორ "ოლიმპიაკოსს", ის წელს აღდგენილი საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი გახდა. ეს პრიზი ბოლოს 1996 წელს გათამაშდა.

"ოლიმპიაკოსი" ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში ორჯერ შეხვდა ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს, ბრაზილიის "პინეიროსს" და ორჯერ დაამარცხა ის – 81:70 და 86:69.

საკონტინენტთაშორისო თასი კალათბურთში 1966-96 წლებში თამაშდებოდა.

## კიდი სეზონს ვერ დაიწყებს

"ბრუკლინ ნეტსის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ჯეისონ კიდი** NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის ორი მატჩით არის დისკვალიფიცირებული მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, - იტყობინება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ინციდენტი გასული წლის ივლისში მოხდა, როცა ლეგენდარული გამთამაშებელი ღამის კლუბიდან ბრუნდებოდა და განათების ბოძს დაეჯახა. მაშინ "ბრუკლინის" მწვრთნელი დააკავეს და ბრალი წაუყენეს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაში. სასამართლოში კიდმა ბრალი აღიარა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიესაჯა.

ასე რომ, რეალურად ჯეისონის დებიუტი მწვრთნელის რანგში "ბრუკლინის" რიგით მესამე მატჩში შედგება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ახალი ჩემპიონი ცნობილია

2013 წლის საავტომობილო სეზონში ერთ-ერთი პირველი სერია, რომელშიც გამარჯვებული გამოვლინდა, კლასიკური რალი გახდა. "ფოლკსვაგენის" პილოტმა, ფრანგმა სებასტიან ოჟიემ საშინაო ეტაპზე გაინაღდა კარიერაში პირველი ჩემპიონობა.

ამ ეტაპს დამატებით ინტრიგას მატებდა ის ფაქტი, რომ კლასიკურ რალიში ბოლო რბოლას ატარებდა მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ფრანგი სებასტიან ლოები. მას ბოლო დღემდე ჰქონდა ეტაპის მოგების შანსი, მაგრამ არ გაუმართლა – სველ ასფალტზე საჭე ვერ დაიმორჩილა, მისი "სიტროენი" გადაბრუნდა და სახურავით დაეცა ტრასაზე. ამის შემდეგ, ოჟიეს აღარ გასჭირვებია დანარჩენი კონკურენტების დამარცხება და სეზონში მეშვიდე ეტაპის მოგებით, ჩემპიონობა ვადაზე ადრე გაინაღდა.

სამწუხაროდ, წარუმატებლად დაასრულა კლასიკურ რალიში კარიერა ლოებმა. სხვათა შორის, ეს იყო მისი პირველი გამოვარდნა ეტაპიდან 2012 წლის იტალიის რალის შემდეგ.

WRC2-ის დივიზიონში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა რობერტ კუბიცამ, რომელიც სეზონში მეოთხედ მოხვდა ძირითადი დივიზიონის ტოპ-ათეულში. ამით მან ლიდერობა დაიბრუნა WRC2-ის გენერალურ კლასიფიკაციაში.

სამი კვირის შემდეგ, 24-27 ოქტომბერს გაიმართება ბოლოსწინა ეტაპი – ესპანეთის რალი. რა თქმა უნდა, საჩემპიონო ინტრიგა აღარ არსებობს, სამაგიეროდ, ბრძოლა მიმდინარეობს საერთო ჩათვლაში მეორე და მესამე ადგილებისთვის. პრეტენდენტები არიან ნოივილი, ლატვალა, სორდო და ჰირვონენი. თან, კონსტრუქტორთა თასზეც ჯერ არაფერია გარკვეული.


ოჟიეს ფოლკსვაგენი

### საფრანგეთის რალი

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) - 2:53.07,6; 2. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, Citroen) - +12,2; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, Volkswagen) - +19,5; 4. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) - +1.14,1; 5. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, Ford) - +3.10,9; 6. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) - +3.37,7; 7. **ანდრეას მიკელსენი** (დანია, Volkswagen) - +4.04,2; 8. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, Ford) - +4.35,2...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, Volkswagen) - 238 ქულა; 2. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, Ford) - 143; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, Volkswagen) - 125; 4. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, Citroen) - 117; 5. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, Citroen) - 111; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, Ford) - 81; 7. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, Citroen) - 57; 8. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, Ford) - 57...

გია **თვალაბეიშვილი**

## ამბები

### ველოსპორტი

## ტრაგედია ბელგიაში

ტრაგედია შეემთხვა ამერიკელ ქალ ველომრბოლს **ემი დომბროსკის**. ბელგიაში, ველოსაჯინიბო Young Telenet-Fidea-სთან ერთად ვარჯიშის დროს, 26 წლის სპორტსმენი ბორბლებში ჩაუვარდა სატვირთო ავტომობილს. დომბროსკიმ ვერ შეძლო ტრასაზე ავტომობილთან შეჯახების თავიდან აცილება და გარდაიცვალა.

ამერიკელი ბელგიაში ახალი ევროპული სეზონისთვის ემზადებოდა. ის აშშ-ის ეროვნული ნაკრების წევრი იყო, გარდა ამისა, სამჯერ ჰქონდა მოგებული ეროვნული პირველობა ველოკროსში 23-წლამდელთა კატეგორიაში. 2013 წლის სეზონი დომბროსკიმ UCI-ის რეიტინგში მე-16 ადგილზე დაასრულა.

### ფორმულა 1

## ბარიკელო ზაუბერში არ იქნება

ცნობილი ბრაზილიელი პილოტი **რუბენს ბარიკელო** არ გამოვა მომავალ სეზონში "ზაუბერის" რიგებში, - იტყობინება Motorsport.com. შვეიცარიული საჯინიბოს შეფმა **მონიშა კალტერბორნმა** ადრე დაადასტურა ამ პილოტისადმი ინტერესი, რომელმაც 2012 წლის ბოლოს დატოვა ფორმულა 1, მაგრამ, კორეის გრანპრის დროს უარყო მოლაპარაკებები.

*"არასწორი იქნება კატეგორიული "არას" თქმა, მაგრამ მე ვუარყოფ ბარიკელოს "ზაუბერში" გამოჩენის შესაძლებლობას, - აღნიშნა კალტერბორნმა. - ვფიქრობ, უმჯობესია თუ აქედანვე შევიტანთ სიცხადეს ამ საკითხში".*

უფრო ადრე, ბარიკელომ, რომელმაც ფორმულა 1-ში 19 სეზონი გაატარა და ყველა დროის რეკორდსმენია ჩატარებული ეტაპების რაოდენობით, განაცხადა, რომ წინაალმდეგი არ იქნება "დიდ ცირკში" დაბრუნების.

### კალათბურთი

## რადმანოვიჩი საბოლოოდ წავიდა

"ჩიკაგო ბულზის" კალათბურთელმა **ვლადიმირ რადმანოვიჩმა** 32 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა, - იტყობინება Sportando.net.

სერბმა კალათბურთელმა NBA-ში 12 სეზონი გაატარა და 737 შეხვედრაში საშუალოდ 8.0 ქულა, 3.8 მოხსნა დაა 1.4 პასი დააგროვა.

გია **თვალაბეიშვილი**

## რაგბი. ოთხი ერი

# ოლ ბლექსი უძლეველია

**ახალი ზელანდიის ნაკრებმა ოთხი ერის გათამაშება ზედიზედ მეორედ მოიგო. „ოლ ბლექსმა", ამჯერად, დიდი სლემი შეასრულა, ექვსი თამაშიდან ექვსივეში გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პლანეტის საუკეთესო გუნდია.**

ახალი ზელანდიის ნაკრებმა ოთხი ერის ბოლო მატჩი სტუმრად გამართა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ტურნირის მოგების შანსი ჰქონდა. „ბოკეს" სტუმართა გუნდისთვის აუცილებლად უნდა გაეტანა მინიმუმ ოთხი და მეტოქეზე ორით მეტი ლელო. ეს, ცხადია, იოლი საქმე არაა. სამხრეთ აფრიკის ნაკრები, სწორედ ამის გამო, იძულებული გახდა თამაში გაეხსნა და 27:38 დამარცხდა.

ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, სამხრეთაფრიკელებს უბრალოდ მოგება რომ დომებოდათ. ვერ ვიტყვით, რომ „ბოკე" აუცილებლად მოიგებდა. თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, თამაშის სურათი სრულიად განსხვავებული იქნებოდა. მართალია, სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა წააგო, მაგრამ მოგებული მაყურებელი დარჩა. ორივე გუნდმა ლია და უმაღლესი დონის რაგბი ითამაშა.

მატჩი მასპინძლებისთვის ცუდად დაიწყო. ახალზელანდიელები მე-11 წუთისთვის 7:3 დაწინაურდნენ. თუმცა, მომდევნო რვა წუთში „ბოკეს" გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** გაიბრწყინა. მან მოედანზე სულ 21 წუთი დაჰყო და გუნდს ორი შესანიშნავი ლელო მოუტანა. მასპინძლებს აშკარად არ წყალობდათ ბედი. მალე სრულიად უწყინარ სიტუაციაში ჯერ ჰაბანა დაშავდა, მერე კი, ტაიმის მიწურულს, მოედნიდან საკაცით გაიტანეს ერთ-ერთი საუკეთესო მესამეხაზელი **ვილემ ალბერტსი.**

პირველი ტაიმი „ოლ ბლექსმა" 21:15 მოიგო. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ოცი წუთის განმავლობაში ორჯერ მისცეს მასპინძლებს ანგარიშში დაწინაურების საშუალება. თუმცა ბოლო ოცწუთეულში თამაშს მთლიანად აკონტროლებდნენ და ძალიან ლამაზი და ეფექტური გამარჯვება მოიპოვეს - 38:27.

ჰაბანას მსგავსად ორი ლელო მიითვალა „ოლ ბლექსის" მესამეხაზელმა **ლიამ მესამმა.** კვლავ შეუდარებელნი იყვნენ რვა ნომერი **კირან რიდი** და გარემარბი **ბენ სმითი,** რომელიც გათამაშების საუკეთესო მელელოვე გახდა.

ტურნირის ბოლო შეხვედრაში არგენტინის ნაკრებმა ავსტრალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 17:54 დამარცხდა. „პუმებისგან" ასეთ უხასიათო თამაშს არავინ ელოდა. თუმცა, „ვოლაბების" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სათანადოდ შეაფასეს მეტოქე, მაქსიმალურად მობილიზებულნი, სერიოზულად მიუდგნენ საქმეს და არგენტინელებს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან სამი ფულბეკის, **იზრაელ ფოლაუს** ანგარიშზეა.

### სამხ. აფრიკა–ახ. ზელანდია 27:38

**სამხრეთ აფრიკა** (15-9) კირხნერი (ლამბიე 70), ლე რუ, ენგელბრეხტი, დე ფილიერსი, ჰაბანა (სერფონტეინი 21), სტეინი, დუ პრი (პინარი 70). (1-8) მთავარირა (სტენკამპი 52), ბ. დუ პლესი (სტრაუსი 50), ი. დუ პლესი (ოოსტჰუიზენი 50), ესტებესი, კრუხერი (ფან დერ მერვე 62), ლოუ, ალბერტსი (კოლიზი 38), ვერმულენი.

**4ლ:** ჰაბანა (2), ლე რუ, დე ფილიერსი. 2გ,ს: სტეინი

**ახალი ზელანდია** (15-9) დაგი, ბ. სმითი, კ. სმითი, ნონუ, საველა (პიუტაუ 69), კრადენი, (ბარეტი 47) ა. სმითი (კერლ ბარლოუ 69). (1-8) ვუდკოქი (კროკეტი 52), ჰორი (კოლიზი 42), ფაუმუინა (ფრენქსი 49), რეტალეკი, ვაითლოქი, მესამი, მაქოა, რიდი.

**5ლ:** მესამი (2), ბ. სმითი, ბარეტი, რიდი.
**მსაჯი:** ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

### არგენტინა–ავსტრალია 17:54

**არგენტინა** (15-9) ერნანდესი, აგუჯა, ბოსხი, კონტეპომი (ფერნანდესი 66), იმჰოფი (ამოროსინო 66), სანჩესი, ლანდახო (კუბელი 72). (1-8) აიერსა (ლობო 72), გინასუ (კრევი 66), ორლანდი (დიასი 45), კაბეჯო (კარისა 54), ალბასეტე, ფერნანდეს ლობე, მატერა, ლეგუსამონი (მაკომე 75).

**2ლ:** ბოსხი, ლანდახო. 2გ,ს: სანჩესი.

**ავსრალია** (15-9) ფოლაუ, ეშლი-კუპერი, კურიდრანი, ლეალიიფანო (ტოომუა 40), ტომანე, კუპერი (ფოლი 65), გენია (ვაითი 74). (1-8) სლიპერი (რობინსონი 60), მური (ს. ფაინგაა 47), ალექსანდერი (კეპუ 47), საიმონსი, ჰორვილი (ტიმანი 60), ფერდი (მაკკალმენი 67), ჰუპერი, მოვენი.

**7ლ:** ფოლაუ (3), ეშლი-კუპერი, ტომანე, რობინსონი, ფოლი. 5გ: ლეალიიფანო (2), ფოლი (2), კუპერი. 3ს: ლეალიიფანო (2), კუპერი.

**მსაჯი:** უეინ ბარნსი (ინგლისი)

### სატურნირო მდგომარეობა

1. **ახალი ზელანდია - 28 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 19, 3. ავსტრალია - 9, 4. არგენტინა - 2.**

ბესიკ **ჯანგავაძე**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| კროტონე-რეჯინა | 2:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-ფიურტი | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-ლანსი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტვენტე II-ჰელმონდი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| გიმარაეში-მარიტიმუ | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ტროფენსე-ბრაგა B | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| პარტიკი-ჰიბერნიანი | 0:1 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ვესტსიელანდი | 2:2 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრედრიკსტადი-ბოდო გლიმტი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-ასირისკა | 1:0 |
| ერებრო-ლანდსკრონა | 3:0 |
| სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ვადუცი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| პანაიტოლიკოსი-იანინა | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-შანლიურფა | 2:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-არისი | 1:0 |
| დოქსა-აპოლონი | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-სიბირი | 3:0 |
| ანგუშტი-ხიმიკი | 2:1 |
| ნეფტეხიმიკი-შინიკი | 1:2 |
| უფა-ნალჩიკი | 0:1 |
| ტორპედო-არსენალი | 2:0 |
| ალანია-გაზოვიკი | 3:0 |
| სალუტი-დინამო (ს-პ) | 1:1 |
| როტორი-მორდოვია | 1:1 |
| ბალტიკა-ენისეი | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| პიასტი-რუხი | 0:2 |
| **რუმინეთი** | |
| ბოტოშანი-უნივერსიტატეა | 1:1 |
| კლუჟი-ოცელული | 7:2 |
| **მოლდოვა** | |
| ტირასპოლი-შერიფი | 0:3 |
| **არგენტინა** | |
| კოლონი-არსენალი | 0:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ანტიბი-ლიმოჟი | 71:89 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ცსკა-ს. იულიაევი | 3:2 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (ნ) | 1:0 (ო) |
| სევერსტალი-სიბირი | 2:3 |
| ატლანტი-ადმირალი | 2:1 |
| სკა-ამური | 4:3 (ო) |
| ლევი-მეტალურგი (მ) | 3:4 (ო) |
| ზაგრები-ნეფტეხიმიკი | 6:0 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. შანხაი** | |
| გრანოლერსი-ტიპსარევიჩი | 6:4, 6:4 |
| ისნერი-ხირალდო | 4:6, 7:5, 7:5 |
| იტო-მონფილსი | 3:6, 2:6 |
| კუერი-ჰაასი | 4:6, 4:6 |
| **WTA. ლინცი** | |
| სვიტოლინა-ბარტელი | 6:2, 7:5 |
| კარ. პლიშკოვა-სკიავონე | 5:7, 2:6 |
| ზანოპალოვა-ფოგელი | 7:5, 5:7, 0:6 |
| **WTA. ოსაკა** | |
| ნარა-გარსია | 6:3, 6:2 |
| პუიგი-უოტსონი | 6:4, 6:4 |
| სტოსური-ლარსონი | 6:4, 6:2 |
| ბუშარი-ლეპჩენკო | 6:3, 6:0 |
| დოი-სოლერ ესპინოსა | 6:1, 6:2 |

## TV პროგრამა

### 8 ოქტომბერი. სამშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. შალკე-აუგსბურგი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. ეინდჰოვენი-ვაალვაიკი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. აროუკა-პორტო.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ხიმნასია-ველეს სარსფილდი.
**21:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. ვიტესი-ფეიენოორდი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ლევერკუზენი-ბაიერნი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ტრაბზონი-ლაციო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ინდიანა-მაიამი.
**15:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ლესტერი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
**19:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. პორტო-ატლეტიკო.
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. ტორონტო-მაიამი.
**00:15** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. საუკეთესო დამცველები - ჰაკიმ ოლაჯუონი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 18 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 18 | (მზე) |
| ბათუმი | 8 | 20 | (მზე) |
| ფოთი | 6 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 5 | 18 | (მზე) |
| გორი | 1 | 19 | (მზე) |
| თელავი | 6 | 17 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 4 | 18 | (მზე) |
| ბაკურიანი | -4 | 11 | (მზე) |
| ბორჯომი | 0 | 16 | (მზე) |
| მესტია | -4 | 13 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2556 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6617 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6705 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1457 |


ახალზელანდიური ჰაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# წელს მარიას ვერ ვნახავთ



მარია შარაპოვა

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მესამე ნომერს, რუს **მარია შარაპოვას** ამ სეზონში კორტზე ველარ ვიხილავთ. ჩოგბურთელმა უარი თქვა წლის შემაჯამებელ ტურნირში გამოსვლაზე, რადგან ჯერაც მხარის ტრავმის აღდგენით კურსს გადის და ვერ ასწრებს ოქტომბრის ბოლოსთვის მწყობრში ჩადგომას.

*"ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ ვერ შევძლებ წელს ამ ტურნირზე გამოსვლას. სტამბოლელი გულშემატკივრები ყოველ თბილად გვხვდებიან და ძალიან დამაკლდება მათი ენერგეტიკა შემაჯამებელ ჩემპიონატზე. იმედი მაქვს, მომავალში მექნება თურქეთში თამაშის საშუალება"*, - მოჰყავს შარაპოვას სიტყვები WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

ამ მომენტისთვის, წლის ბოლო ტურნირზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ**, პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ**, ჩინელმა **ნა ლიმ**, ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ**, იტალიელმა **სარა ერანიმ** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**. სულ ტურნირში მონაწილეობას იღებს სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი.

შეგახსენებთ, რომ მარია შარაპოვა აგვისტოს შემდეგ არ გასულა კორტზე. სტამბოლში წლის ტურნირი 22-27 ოქტომბერს გაიმართება.

კალათბურთი

# სულელი სუპერმენი

ლეგენდარულმა ამერიკელმა კალათბურთელმა **ქარიმ-აბდულ ჯაბარმა** ამ დღეებში გააკრიტიკა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**, რომელიც ამ ზაფხულს "ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან" "ჰიუსტონ როკეტსში" გადავიდა. NBA-ის ხუთგზის ჩემპიონმა პრაქტიკულად ღია ტექსტით ახალგაზრდა კოლეგა "იდიოტად" მოიხსენა. მისი თქმით, ჰოვარდი ბუნებამ უდიდესი ფიზიკური ძალით დააჯილდოვა, მაგრამ გონებრივი შესაძლებლობების მხრივ, სერიოზული პრობლემები გააჩნიაო.

"ჰიუსტონის" ახალწვეულმა ამ სიტყვიერ დავაში მაქსიმალური კორექტულობა შეინარჩუნა და ჯაბარის ნათქვამი ემოციებს დააბრალა, თუმცა იქვე დაამატა: *"შეუძლებელია იდიოტმა სამჯერ მოიგოს წლის საუკეთესო დამცველის ტიტული. ასეთი რამ არ ხდება. გამიკეთებია თუ არა რაიმე სისულელე მოედანზე? რა თქმა უნდა. მაგრამ არიან ისეთები, ვისაც ასეთი რამ არ დამართნია?*



ჯაბარი და ჰოვარდი

*როცა მე "ლეიკერსს" შევუერთდი, მაშინ უდიადესი ცენტრი ვიყავი, წავედი გუნდიდან და ახლა, ყველაზე უარესი გავხდი. მესმის, რომ ბევრი რამ ემოციურ ფონზე ითქმის. თუ ქარიმს ჩემთან საუბარი სურს, მე აქ ვარ, ჰიუსტონში. ჩვენ შეგვიძლია ერთი ერთზე შევხვდეთ და მამაკაცურად დავილაპარაკოთ".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ აჩერებს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ჟურნალი „არსენალი" განახლებული არსენალით!
84 გვერდი
ახალი რუბრიკები
განსხვავებული დიზაინი




სამხედრო ანალიტიკური ჟურნალი
ყოველთვიური
ფასი 3 ლარი

არსენალი
ინფორმაცია, რომელიც მიზანში ხვდება!

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608